ყოველკვირეული საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტ. გაზეთი

№ 9 20 ივლისი 1908 წ. ფასი 10 კ.

შინაარსი: დიდებული საუკუნე.—ნაცია ისტორიის გზაზე, **ონ.—სა.**—სხვა და სხვა ამბები ჩვენსა და რუსეთში.—ოსმალეთი.—სპარსეთი.—პირველ სათათბიროს დეპუტატთა გასამართლება.—ადამის ძეო! (ლექსი) **ა. გერასიმისძესი.**—დედები (მოთხრობა) **ან. ერისთავ-ხოშტარიასი.**—ავსტრიის მომხმარებელ საზოგადოებათა კონგრესი, **მ. მგალობლიშვილისა.**—ჟურნალ-გაზეთებიდან.—საზღვარგარეთ.—განცხადება.

დიდებული საუკუნე.

„ველარ განუძლებს ქვეყანა ძველი
განახლებისა გრიგალის ქროლას“.

ი. ჭავჭავაძე.

მიუხედავათ ყოველივე სიდუხჭირისა, დეპეშათა საგენტოებს მაინც თითქმის ყოველ დღე მოაქვთ ერთი მეორეზე უფრო საყურადღებო, უფრო სენსაციონური და გულ-გონების შემბოჭავი ამბები. ამ ამბებს ადამიანი უნებურათ უკარნახებს: „ვინ იფიქრებდა! ვინ იფიქრებდა!..“ მართლაც და, ჯერ კიდევ გუშინ, ყველას ეგონა, რომ აღმოსავლეთი, და განსაკუთრებით სპარსეთი და ოსმალეთი, წილხდომილი ქვეყნები იყვენ დესპოტიზმისა, ტირანიისა და რომ აქ თითქოს სამარადისოთ დაესადგურებინა განუკვრეტელ წყვდიადსა და უსაზღვრო მონობა-მჩაგვრელობას. მაგრამ სხვაფრივ განსაჯა მეოცე საუკუნემ. ამან ერთბაშათ სამართლიანობის ცეცხლი გაუჩინა ძველ ქვეყნებს. წყვდიადი უკვე ირღვევა, ითრგუნება, ჰორიზონტი დასერილია განთიადის მომასწავებელი სხივებით და მალე აღმოსავლეთით აინთება დიადი ლამპარი თავისუფლებისა!

საქმე დაიწყო რუსეთმა, რომელსაც მუდამ საბედისწეროთ მოქუშული და გაუკულმართებული პირი უჩანდა. პირველი სხივები აქ, მართალია, ძალიან მაცდური გამოდგა და დღეს იმპერიის ხალხნი, თითქოს დაჭრილი ლომი სიმწარით თათებს იკვნეტავსო, თავისი ტკივილებით განმარტოებულან; მარა იგინი მისცემიან შინაგან (პსიხიურ) მუშაობას და ბეჯითად ზრდიან იმედსა და დაუშრეტელ წყურვილს უხვათ აინაზღაურონ დანაკლისი. ეს კი თავდებია ნიშანში ამოღებულ საქმის განხორციელებისა. რუსეთის რევოლიუციის ტალღები შორით-შორამდე გადიტყორცნა. იგი მისწვდა თვით ჩინეთის კედლებს, და ეხლა ამ უმოძრაობის სიმბოლოდან, „ზეციურ იმპერიიდან“ დაჟინებით მოდის ხმები დიდ რევოლიუციონურ მოძრაობის მოახლოებისა. რუსეთს ზედ მიჰყვა სპარსეთი. აქ თითქმის ერთის დაკვრითვე შემოღებულ იქმნა საკმაოთ ლიბერალური კონსტიტუცია და პარლამენტარიზმი. მართალია ყველაფერი ეს მალე ბარბაროსულის სიმკაცრით ფეხ-ქვეშ იქმნა გათელილი სპარსეთის—და არა მარტო სპარსეთის—ბნელი ძალების მიერ; მაგრამ სპარსეთის მთელი ვითარება და საქმეთა მსვლელობა გვარწმუნებს, რომ რეაქცია უეჭველათ დამარცხდება და გამარჯვებული რევოლიუციონური ხალხი სპარსეთისა ახლათ აგებულ მეჯლისის სასახლის თავზე კვლავ ამაყურათ აღმართავს თავისუფლების დროშას.

სპარსეთში დღეს რეაქცია და რევოლიუცია სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლის გამწარებით ეკვეთებიან ერთმანეთს, და აი ახლა კიდევ ოსმალეთში იჭექა რევოლიუციამ. ერთი უკანასკნელი დეპეშა იუწყება, რომ სტამბოლის ქუჩებზე ბაირაღებით გამოსულა მრავალი ათასი სული ხალხი და ჰაერსა სძრავს ყიჟინით: „გაუმარჯოს თავისუფლებას, გაუმარჯოს კონსტიტუციას!..“ „წითელი სულთანი“ თურმე შეძრწოლდა თავის სასახლეში რევოლიუციის პირველივე ხმების გაგონებაზე, მაგრამ მან ვერც კი მოასწრო დაესისინა „ხალხის სისხლში ამოვახრჩობ რევოლიუციასო“, რომ იძულებული გახდა ასე „ჩაეხმატკბილა“ „ჩემი საყვარელი შვილებისათვის (ე. ი. ოტომანის ხალხისათვის) მიბოძებია თავისუფლებაო!“ დეპეშები სარწმუნო წყაროებიდან იტყობინებიან, რომ სულთანი კონსტიტუციის გამოცხადებაზე დათანხმდა მხოლოთ მას შემდეგ, როცა ბოსფორისა და დარდანელის სიმაგრეთა კომანდირებმა მის (სულთანის) ბრძანებაზე—მზათ ყოფილიყვენ აჯანყებულ ჯარების წინააღმდეგ გამოსასვლელათ—უპასუხეს: „მომზადებას საჭიროთ არა ვცნობთ, რადგან მტერს არა ვხედავთო“. რევოლიუციურ მოძრაობაში თურმე მონაწილეობას იღებენ ჯარი, აფიცრობა და ბევრი გავლენიანი პირები. ასე რომ ოსმალეთი—ეს უკიდურეს გათახსირება-გახრწნილების სიმბოლო—ჩქარის ნაბიჯით უახლოვდება კონსტიტუციონალურ წყობილებას, სახალხო მართვა-გამგეობას.

მაგრამ დიდი შეცდომა იქნებოდა გვეფიქრნა, ვითომ აქ დასახელებულ ქვეყნებს დღე-დღეზე ელოდეს ახალ პოლიტიკურ წეს-წყობილების განმტკიცება, ვითომ აქ დღე-დღეზე შეიძლებოდეს უზრუნველ-ყოფილი გახდეს პოლიტიკური თავისუფლება. არა, საუკუნოების განმავლობაში მონობის მძიმე უღელ-ქვეშ მოხრილი ხალხი ერთბაშათ ვერა მაგრდება წელში, საუკუნოებით ნატუქსი გონება ერთბაშათ ვერ იმსჭვალება ახალ პოლიტიკურ ცხოვრების სათანადო ცოდნით და თავის საკუთარ ვინაობის შეგნებით. მაშ ჯერ კიდევ საკმაო ხანი გაივლის, ვიდრე დაწყებულ რევოლიუციებს ბოლო მიეცემოდეს და პოლიტიკური თავისუფლება ჯეროვანათ განმტკიცდებოდეს. მაგრამ ერთი რამ არის ყოველსავე ეჭვს გარეშე. სახელდობრ ის, რომ უკვე ერთი დიდი გამარჯვება საბოლოოთ მოპოვებულია. ყველა აქ დასახელებულ ქვეყნებში უკვე გადადგმულია პირველი, მარა უდიდესი და უძნელესი ნაბიჯი, რომლის შემდეგ უკან გამობრუნება ყოვლად შეუძლებელია. ეხლანდელი სახალხო მოძრაობა სრულებითაც არ ჰგავს საშუალო საუკუნოების ხალხის აჯანყებას. დღეს ხალხის რისხვა მიმართულია არა ამა თუ იმ მავნე პირებზე თუ ჯალათებზე, არამედ მთელ ძველ რეჟიმის წინააღმდეგ. ხალხის მასსა ესწრაფის არა ახალ პირების გაბატონებას, არამედ ახალ პოლიტიკურ და მოქალაქობრივ ცხოვრებას, თვით-მმართველობას. აი სწორეთ აქ არის წინდი სახალხო გამარჯვებისა, ეს გარემოებაა თავდები, რომ „ვეღარ განუძლებს ქვეყანა ძველი განახლებისა გრიგალის ქროლას“, „და დაიმსხვრევა იგი ბორკილი შემფერხებელი კაცთა ცხოვრების“...

რუსეთისა და მთელ აღმოსავლეთის გაწმენდა ძველი რეჟიმის დარჯაკებისაგან თვით დასავლეთსაც ფართე გზას მისცემს და უძლეველ ენერგიას შემატებს სოციალურ მოძრაობისათვის და ასე, დასავლეთ-აღმოსავლეთი, მთელი მშრომელი კაცობრიობა, ძმურის სიმებით გადანასკულნი და საერთო ფერხულში ჩაბმულნი მედგარის ნაბიჯით წავლენ წინ დიად სოციალურ პრობლემის გადასაწყვეტათ, შრომის სუფევის დასამყარებლათ. მეოცე საუკუნემ დიადი ამბებით გახსნა მსვლელობა „და ამ ზვიადმა საუკუნემა უნდა შვას იგი შრომის სუფევა!..“

III. ნაცია ისტორიის გზაზე.

3.

ბ. სოციალიზმის ხანაში.

კაუცკის შეხედულებით, ნაციის განვითარება სწარმოებს იმავე გზით და იმავე სახით, როგორც—ქვეყნის ეკონომიური განვითარება. როგორც აქ პატარა საკუთრება, პატარა წარმოება იყლაპება დიდი საკუთრებისა და დიდი წარმოებისაგან, ისევე პატარა ნაციები ჩაიყლაპება დიდი და ძლიერი ნაციებისაგან. ასეთი ბედი—თუმცა ფრთხილი სიტყვებით—კაუცკიმ ამ 15-დე წლის წინათ, უწინასწარმეტყველა, სხვათა შორის, ჩეხების ნაციას. იგი ამ სამწუხარო პერსპექტივის განჭვრეტას ჩეხებს უადვილებდა ასეთი სიტყვებით: „მაგრამ ჩეხებს შეუძლიანთ ინუგეშონ თავი, რადგან ასეთივე ბედი ელის იმათზე უფრო დიდ ნაციებსაც“.*) მარა ამ დროს განმავლობაში ჩეხების ნაცია არანც თუ უკან არ წასულა, არ დასუსტებულა და მას არ გამოუჩენია ტენდენცია ძლიერ ნაციაში (ნემცებში) გასალესათ, არამედ, პირიქით, იგი უფრო გალონივრდა, უფრო ამაღლდა და კვლავ საოცარის სისწრაფით ვითარდება. ამ ფაქტის წინაშე, რასაკვირველია, თვითონ კაუცკიც თავს იხრის, მაგრამ იგი მაინც ისევ თავის აზრზე დგას. ამ ცოტა ხანში გამოსულ თავის ახალ ნაწარმოებში-ნაციონალურ საკითხის შესახებ—კაუცკი ხელუხლებლათ სტოვებს თავის მთავარ შეხედულებას (l' idée metresse).

იმის დაგვარათ—სწერს იგი—როგორც ხალხთა შორის ვითარდება ეკონომიური ურთიერთობანი, ნაციონალური კულტურა აშკარათ იღებს ინტერნაციონალურ ხასიათს. უკვე დღეს აღარ არსებობს წმინდა ნაციონალური კულტურა. კულტურის მხრივ დღეს უკვე მთელი ქვეყნიერობა იყოფა სამ დიდ სამფლობელოთ; ესენია: ქრისტიანული კულტურული სამფლობელო, სადაც შედის თითქმის 600 მილიონი წევრი, ისლამური—250 მილ. წევრი, ბრამინული და მისი მონათესავე ბუდისტური—თითქმის 700 მილიონი წევრი; თვითოეულიეს კულ-

*) იხ. Національность нашего времени, გვ. 41. ან ქართული გამოცემა „ჩვენი დროის ეროვნება“ გვ. 62-3.

ტურული სამფლობელო შეიცავს მრავალ სხვა და სხვა ნაციებსა და ენებს. მაგრამ, რასაკვირველია, აქ არ ჩერდება განვითარება. კაპიტალისტური წეს-რიგი წარმოებისა ყველგან აღწევს გაბატონებას „ამ ნიადაგზე ეს სამი დიდი კულტურული სამფლობელო ხდება ეკონომიურათ ერთიანი სამფლობელო, რომელსაც მოეპოება საერთო კულტურა; ნაციათა და კულტურულ სამფლობელოთა შორის საზღვრები სულ უფრო და უფრო ქრება. აქედან უფრო ცხოველდება საჭიროება არსებობდეს ერთიანი საქვეყნიერებო ენა.“ [2]) დღეს ჩვენა გვაქვს სამი საქვეყნიერობო ენა—ფრანგული, გერმანული და ინგლისური. (საერთო აზრია, რომ ვისაც უნდა ნამდვილათ განათლებული ადამიანი იყოს, მან უეჭველათ ერთ-ერთი აქ დასახელებული ენა მაინც უნდა იცოდეს). მომავალში შესაძლებელია ამ სამ ენას კიდევ მეოთხეც მიემატოს, მაგალითათ რუსული ენა. მარა ეს იქნება დროებითი მოვლენა. ბოლოს და ბოლოს გამარჯვება უნდა დარჩეს ერთ-ერთს, ე. ი. ერთი საქვეყნიერებო ენა გადიქცევა უნივერსალურ, მსოფლიო ენათ. კაუცკი ფიქრობს, რომ ასეთი უპირატესობა წილათ ხვდება ინგლისურ ენას, რადგან ამ ენაზე მოლაპარაკეთა რიცხვი ყველაზე უფრო მეტათ იზრდება. ასე მაგ. გასულ საუკუნის დასაწყისში საქვეყნიერებო ენებზე მოლაპარაკეთა რიცხვი იყო: ფრანგულზე—დაახლოვებით 30 მილიონი, ამდენივე გერმანულზე; ინგლისურზე—20 მილიონზე ცოტა მეტი; დღეს კი ითვლება: ფრანგულათ მოლაპარაკე—40 მილიონზე ცოტა მეტი, გერმანულათ—70 მილიონზე მეტი, ხოლო ინგლისურ ენაზე უკვე 125 მილიონი ლაპარაკობს. მსოფლიო ენის წარმოშობა განხორციელდება, რასაკვირველია, მხოლოთ სოციალიზმის დროს. მხოლოთ სოციალიზმის დროს შეიძლებს ხალხის მასსა შეისწავლოს ერთ-ერთი საქვეყნიერებო ენა და მით მაშინ უსარგებლო გახდება ყველა სხვა ენები. ჯერ გაქრება პატარა ნაციების სამშობლო ენები, მერე მოზრდილ, მერე უფრო დიდ ნაციების ენები და ასე ბოლომდის, ვიდრე მთელი კაცობრიობა ალაპარაკდებოდეს მხოლოთ ერთ ენაზე.

ასეთია კაუცკის შეხედულება. აქ ბევრი რამ არის მართალი, მარა დედა აზრი კი შემცდარი არის. კაუცკი სამართლიანათ აღნიშნავს ნაციათა გაერთიანების ტენდენციას, მარა იგი თითქმის სრულიად ივიწყებს, ან სათანადო ანგარიშს არ უწევს მეორე ტენდენციას, რომელიც პირველის მოპირდაპირე და უარმყოფელი მიმდინარეობაა; ჩვენ ვამბობთ კაცობრიობის ნაციებათ დიფერენციაციის (გამიჯვნა-განაწილების) ტენდენციაზე. თვითონ პირველსაც სრულებითაც არა აქვს ის ხასიათი, რომელიც კაუცკის წარმოუდგენია. ნამდვილათ სწორეთ „გაერთიანების“ ტენდენცია აწარმოებს ნაციათა დეფერენციაციას. ავხსნათ.

კაპიტალიზმის განვითარებამ, რასაკვირველია, თან მოიტანა ის ფრიად თვალსაჩინო შედეგი, რომ სხვა და სხვა ქვეყნები და ნაციები ერთმანეთზე გადაება და მჭიდროთ შეკავშირდა. დღეს ძნელათ იპოვება ისეთი ქვეყანა, რომ ყველა თავის მოთხოვნილებებს თვითონვე, საკუთარის ნაწარმოებით იკმაყოფილებდეს. ზოგიერთი მათგანი—და საკმაოთ განვითარებული და მდიდარი ქვეყნები—უცხოეთიდან იღებენ არა მარტო დასამუშავებელ, ნედლ მასალას, ანუ მხოლოთ ზოგიერთ წრეებისასთვის საჭირო საგნებს, არამედ აგრეთვე ისეთ საგნებსაც, რომელიც ემსახურება ადამიანთა მიუცილებელ საჭიროებათა დაკმაყოფილებას, როგორც მაგ. ბური, ხორცეული და სხვა სურსათი-სანოვაგე. ასეთ პირობებში უერთმანეთობა, ცხადია, სრულიად აუტენელი იქნება. ყველამ იცის, თუ რა აურ-ზაური და დრტვინვა გამოიწვია ევროპის სახელმწიფოებში ამ ორი წლის წინათ რუსეთში მომხდარ პოლიტიკურ არეულობამ და საყოველთაო გაფიცვებმა. ევროპას ამ შემთხვევაში, თქმა არ უნდა, რუსეთის ხალხთა ტანჯვა-ვაება კი არ აწუხებდა, რუსეთის თვით კონსტიტუციისა და პოლიტიკურ თავისუფლების ბედ-იღბალი კი არ აფიქრებდა, არამედ მხოლოთ თავის საკუთარ ჯიბის ინტერესები, დაბანდებულ კაპიტალების განაღდება, ჯეროვან მოგება-საგრებლის ზედშეკეცვით. დიახ, დღეს იმდენათ უკვე მჭიდროა ქვეყნების ეკონომიური ურთი-ერთშორისი დამოკიდებულება, რომ, უკეთუ რაიმე მიზეზით—მაგ. ევროპის საყოველთაო ომიანობით—საერთაშორისო მიმოსვლა-ურთიერთობა შეწყდებოდა, ეს, აუცილებლათ, გამოიწვევდა მრავალ წარმოებათა მთელ დარგების სრულ გაკოტრებას, აუარებელ მუშა ხალხის ულუკმაპუროთ დატოვებას, საზარელ სიმშილობას; ერთი სიტყვით საერთაშორისო ურთიერთობის შეჩერება ქვეყნიერებას თავს დაატეხდა ისეთ საშინელ კატასტროფებს, რომლის მსგავსი ჯერ არ ახსოვს კაცობრიობას. ეკონომიურ ასეთ ურთიერთ შორის დამოკიდებულებას ბუნებრივის აუცილებლობით თანა სდევს დამოკიდებულება ცხოვრების აგრეთვე დანარჩენ მხარეებშიც, კულტურულ, იდეიურ სფერაშიაც. და რადგან კაპიტალისტური საზოგადოება დაფუძნებულია კონკურენციაზე, მეტოქეობა-ქიშპობაზე, ცხადია, აქ, ბრძოლის ასპარეზზე ერთნი მარცხდებიან, მეორენი გამარჯვებულნი რჩებიან. ნაცია, უკეთესათ შეიარაღებული, უკეთეს პირობებში მყოფი, თან და თან უფრო იზრდება და ვითარდება; იგი სწრაფათ ძლიერდება როგორც ნივთიერათ, ისე კულტურულათ. ენა, რომელზედაც ის ლაპარაკობს, აუცილებელი იარაღი ხდება ცხოვრების გზის გასაკაფათ და ეს ყოველ ასპარეზზე, როგორც ვაჭრობა-მრეწველობაში, ისე ხელოვნებასა და მეცნიერებაში. ამიტომაც ძლიერი ნაციის ენა მოდათ შემოდის პატარა ნაციაში. და თუ ეს უკანასკნელი პოლიტიკურათ დამონებულია, ცხადია, მისთვის გაბატონებულ ნაციის ენას უფრო კიდევ მეტი მნიშვნელობა მიეცემა, ვინაიდან სახელმწიფო ენის უცოდინართათვის დახშული იქნება თითქმის ყველა საზოგადოებრივი და სახელმწიფო დაწესებულებათა კარი. ასეთ პირობებში, რასაკვირველია, მამები თავის ბავშვებს აკვნიდანვე ჩასჩიჩინებენ: „შვილო, თუ გინდა

[2]) nation. und Jnternationalität გვ. 13.

კაცი გახდე, ისწავლე ჩვენი „მამა-ბატონების“ ენა“. სამშობლო ენების მნიშვნელობა თანდათან ეცემა და მათზე ლაპარაკი სათაკილოც კი ხდება. აქედან კაუცკი დასკვნის; „მათი (სამშობლო ენების) ხმარება უფრო და უფრო შეიზღუდება, ეს ენები თანდათან იქცევიან მარტო, „შინ სახმარ ნივთათ“ და ბოლოს აქაც დაიჭერენ იმავე ადგილს, როგორიც უჭირავს საგვარეულოს ძველისძველ ავეჯს, რომელსაც აფასებენ და სათუთათ უფრთხილდებიან, მაგრამ არავითარ პრაქტიკულ მნიშვნელობას კი აღარ აძლევენ.“[3])

მაგრამ, რასაც აქ კაუცკი მომავალი დროისთვის ამბობს, ის დაწინაურებულ ქვეყნებში დღეს უკვე წარსულს ეკუთვნის. იქ პატარა და დაჩაგრულ ნაციათა ენებს იმდენათ დაკარგული ჰქონდათ პრაქტიკული მნიშვნელობა, რომ სრულიათ გაქრობის პირათ იყვნენ მისული, მაგრამ დღეს უკვე სურათი ერთიანათ შეცვლილია. საქმე ის არის, რომ თუ კაპიტალისტურათ განვითარებულ ძლიერმა ნაციებმა პირველ ხანებში დაიმონავეს და საწველ ფურათ გაიხადეს პატარა სუსტი და უკან ჩამორჩენილი ნაციები, შემდეგში მათ ამ უკანასკნელთ თვითონვე—თავისდა უნებურათ, რასაკვირველია—მისცეს იარაღი გასანთავისუფლებლათ, საკუთარ ფეხზე დასადგომათ და საკუთარი გზით განსავითარებლათ. მაგ. ავსტრია-უნგრეთში, კაპიტალიზმმა—შეიძლება ითქვას—მკვდრეთით აღადგინა იქ ჩამწყვდეული პატარა ნაციები. დიახ, პატარა და სუსტი ნაციები ბოლოს თვითონვე შესანიშნავათ ანვითარებენ კაპიტალისტურ წარმოებას, და მტკიცეთაც მაგრდებიან ამ ნიადაგზე. ამ ერის ბურჟუაზია უცხო კონკურენციის თავიდან მოსაშორებლათ წინ იმძღვარებს ნაციონალურ ენას; ასპარეზზე გამოსული მუშა ხალხიც ანვითარებს იმავე ენას, რადგან ეს იმისთვინ კლასიურ ბრძოლის აუცილებელი იარაღია. რაკი ხალხის მასსა ებმება ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში, ამ მასის ენაც სათანადო ადგილს პოულობს და ბოლოს ბატონობასაც აღწევს როგორც ლიტერატურაში, ისე სკოლისა, სასამართლოს და საზოგადოებრივ თუ სახელმწიფო დაწესებულებებში. აქედან ინტელიგენციისათვისაც, თავისუფალ პროფესიის ხალხისათვისაც, როგორც არიან ჟურნალისტები, მასწავლებლები, ვექილები, ექიმები და სხ. ყველა ამათთვის სამშობლო ენა ხდება არსებობის მიუცილებელ საშუალებათ ამასთანავე ერთათ იცვლება საზოგადოებრივი აზრიც სამშობლო ენის შესახებ. ამ ენის აბუჩათ აგდება ეხლა უკვე სამარცხვინოთ არის აღიარებული. ეხლა მამა თავის ბავშვს ასე შთაგონებს: „შვილო, თუ გინდა კაცი გახდე, კარგათ ისწავლე სამშობლო ენა“. უცხო, გაბატონებულ ნაციის ანუ საქვეყნიერებო ენა იქცევა, აგრე წოდებულ, „საზოგადოების“ შინ სახმარ ენათ. იგი იხმარება კერძო ადამიანთა მიზნებისათვის, იმათ ვაჭრობა-მრეწველობის თუ ხელოვნება-მეცნიერების მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლათ; იგივეა ენა ლაყბობა-ლაზღანდარობისა, არშიყობისა თუ სხვა რაიმე კერძოობისა. ხოლო გარეთ, საზოგადოებაში, ლიტერატურაში თუ საჭირო კრებებზე, ერთი სიტყვით, ყოველ საზოგადოებრივ საქმეში უკვე გამეფებულია სამშობლო, ნაციონალური ენები. ეხლა ის, ვინც წარა-მარათ ლაპარაკობს უცხო, გაბატონებულ ნაციის ენაზე, ნასწავლ-განათლებული და ზრდილი ყმაწვილი კი აღარ არის, არამედ, იგია უსულ-გულო, ქარაფშუტა ვიგინდარა. ხოლო სამშობლო ენაზე წმინდა, რიგიანი ლაპარაკი ეხლა უკვე ნიშანია იმისი, რომ ეს ადამიანი ამოვლებულა და განბანილა თანამედროვე სოციალ-პოლიტიკურ ბრძოლის ტალღებში.

ყველა ზემო ნათქვამიდან, რასაკვირველია, ის არ გამომდინარეობს, ვითომ დროს განმავლობაში იკარგებოდეს გაბატონებულ ნაციათა ენების და საქვეყნიერებო ენების მნიშვნელობა. ჩვენ მხოლოთ იმას აღვნიშნავთ, რომ ამ ენებთან ერთათ იზრდება და ფართოვდება აგრეთვე სამშობლო, ნაციონალურ ენების მნიშვნელობა, და ასე ხდება იმის დაკვალათ, როგორც იზრდება და ვითარდება დემოკრატია. და რადგან გამარჯვება ეკუთვნის ამ უკანასკნელს, ცხადია, სოციალისტურ ხანაში ნაციები შევლენ დიდათ განვითარებულ სამშობლო ენებით აღჭურვილნი. როგორი იქნება შემდეგი მსვლელობა?

სოციალისტურ საზოგადოებაში, თუმცა თვითოეული ნაცია სრული ბატონ-პატრონი იქნება თავის თავისა, მარა ეჭვს გარეშეა, რომ იგი ამისთვის არ მიეცემა განცალკევებულ და კარ-ჩაკეტილ ცხოვრებას; ეს წინააღმდეგი იქნებოდა მთელ ტეხნიკისა და კულტურის განვითარებისა. სოციალისტური საზოგადოება მხოლოთ განაგრძობს, განავითარებს იმ პროცესს, რომელიც დღესვე კაპიტალისტურ პირობებშივე სწარმოებს და ნაცია უფრო მჭიდრო, განუყრელი ძაფებით შეუკავშირდება მთელ კაცობრიობას, როგორც ეკონომიურათ, ისე კულტურულათ. მაშასადამე მრავალ ენიანობა საერთოთ წინ მსვლელობის შემაფერხებელი გარემოება იქნება და ერთი მსოფლიო ენის მიღება კი მიუცილებელი საჭიროება. და რადგან ბუნებრივათ, თავის-თავათ არ იბადება მსოფლიო ენა (აწ არსებულ საქვეყნიერებო ენების რიცხვს—ფრანგულს, გერმანულს, ინგლისურს—არა თუ არ აკლდება, კიდეც ემატება ახალი ენები. ხოლო საქვეყნიერო ენების გვერდით ვითარდებიან აგრეთვე ნაციონალური ენები). ცხადია სოციალისტური საზოგადოებანი იძულებული გახდებიან ცნობიერათ ჩაერიონ საკითხის გადაწყვეტაში. მაგრამ შეუწყნარებელი შეცდომა იქნებოდა გვეფიქრნა, ვითომ ერთ მშვენიერ დღეს სოციალისტურ საზოგადოებათა საერთაშორისო კონგრესი გამოიტანდეს დეკრეტს, რომლის ძალითაც ერთ-ერთ ნაციის ენა (ის მაგ. რომლის მცოდნე აღმოჩნდება კაცობრიობის უმრავლესობა) მიღებულ იქმნებოდეს მსოფლიო და საყოველთაო ენათ, ხოლო დანარჩენთა სამშობლო ენების ხმარება კი აიკრძალებოდეს. ასეთი დეკრეტი უეჭველათ გამოიწვევდა ხალხთა კანონიერ ნაციონალური თავმოყვარეობის აღშფოთებას, რაიც სათავეშივე

[3]) Національность нашего времени გვ. 42.

ჩაკლავდა საქმის განხორციელებას. ჩვენის აზრით, მსოფლიო ენათ მიღებულ იქმნება არა ამა თუ იმ ნაციის ენა, არამედ, ასე ვთქვათ ნეიტრალური ენა, ე. ი. რომელიც არ ეკუთვნის არც ერთ ნაციას. ასეთია მაგ. უკვე დღეს არსებული, საერთაშორისო ენათ წოდებული „ესპერანტო“. საგულისხმოა, რომ ამ ენაზე მოლაპარაკეთა რიცხვი უკვე დღესვე, შეუმჩნეველათ, მაგრამ შეუჩერებლათ, მრავლდება ყველა სახელმწიფოებსა და ყველა ნაციებში.[4]) საგულისხმოა ისიც, რომ გერმანიის სოც.-დემოკრატიის ზოგიერთ წრეებში უკვე დღესვე აზრათ აქვთ აღძრან საკითხი იმის შესახებ, რომ ეს ენა მიღებულ იქმნას სოციალისტურ პარტიების საერთაშორისო კონგრესებისთვის, რადგან სამ-ოთხ ენაზე თათბირი ძალიან აფერხებს კონგრესების მუშაობას. ზოგიერთი დიპლომატები და პოლიტიკოსებიც ასევე ფიქრობენ გამოიყენონ „ესპერანტო“. მაგრამ ეჭვს გარეშეა, რომ ეს ენა მსოფლიო ენათ გადაიქცევა—თუ კი ასეთ „ბედნიერ ვარსკვლავზეა“ დაბადებული—მხოლოთ სოციალიზმის განხორციელების შემდეგ. სოციალისტურ საზოგადოებათა მსოფლიო ენა, გარდა წმინდა საერთაშორისო დანიშნულებისა, შეასრულებს აგრეთვე სამშობლო ენის ზოგიერთს—და მხოლოთ ზოგიერთ—ფუნქციებს. ასე მაგ. თუ დღეს რაიმე ახალი აღმოჩენა ან განსაკუთრებულათ შესანიშნავი ნაწარმოები ხელოვნებისა თუ მეცნიერების სფერაში აუცილებლათ ითარგმნება ნაციონალურ ენებზე, მაშინ ეს თარგმნა საჭირო აღარ იქნება, რადგან ყველა განსაკუთრებულათ შესანიშნავი ნაწარმოები თვით ავტორებისაგანვე დაწერილ იქნება მსოფლიო ენაზე და ეს კი ყველა ნაციების ყველა ადამიანებს ეცოდინებათ. სამშობლო ენათა ხმარების სფერა, რასაკვირველია, შემცირდება. ვერც ერთი ნაციონალური ენა ველარ გასცილდება თვით ნაციის საზღვრებს, ე. ი. იმ ადამიანთა წრეს, ვისთვისაც იგი შეადგენს სამშობლო ენას. ეს კვლავ იქცევა ჩვეულებრივ, შინ სახმარ ენათ. სამშობლო ენა იქნება უმთავრესათ ადამიანთა ესტეტიკურ მოთხოვნილების, მრავალფეროვანება-სხვა-და-სხვაობისადმი მისწრაფების დამაკმაყოფილებელი. მსოფლიო ენა კი იქნება უმთავრესათ საშუალება წინმსვლელობა-განვითარებისათვის.

ამ გვარათ, მომავალი, სოციალისტური კაცობრიობა ილაპარაკებს მრავალ ენაზე, ხოლო თვითეულ ნაციას კი ექმნება მხოლოთ ორი ენა: მსოფლიო და სამშობლო ენა.

მაგრამ წარმოვიდგინოთ, რომ ოდესმე სამშობლო ენები სრულიად მოისპო კიდეც და მთელ კაცობრიობას ერთათ-ერთი მსოფლიო ენაღა შერჩა. ასეთი პერსპექტივის განხორციელება მაინც კიდევ არა ნიშნავს ნაციათა მოსპობას და მთელ კაცობრიობის ერთ ნაციათ გადაქცევას. მკითხველმა უკვე იცის, რომ, ჩვენის შეხედულებით, ენა სრულებითაც არ შეადგენს ნაციის არსებას; ნაციის გამომჭედია ნაციონალური კულტურა, რომლის მხოლოთ ერთ ნატეხს წარმოადგენს ნაციონალური ენა, მარა კაუცკის აზრით როგორც უკვე აღვნიშნეთ — სოციალიზმის დროს კაცობრიობის კულტურასაც აღარ ექნება ნაციონალური სანახაობა, და ეს პროცესი ნაციათა კულტურულ გაერთიანებისა უკვე დღეიდანვე, კაპიტალისტურ პირობებში თვალსაჩინოთ სწარმოებს. ნამდვილათ კი როგორ არის ამ მხრივ საქმე?

ნიციათა კულტურული ურთი-ერთობა რომ ფაქტია, ეს ყველამ იცის და სოციალიზმის დროს რომ ეს ურთიერთობა კიდევ უფრო მეტათ განვითარდება, ესეც აშკარა უნდა იყოს ყველასათვის. მაგრამ სახელდობრ რას იძენს ერთი ნაცია მეორისაგან და ან რითი განსხვავდება ერთის კულტურა მეორისაგან? როგორც ცალკე ადამიანს შეუძლიან სთქვას თავის-თავზე: Homo sum, et nihil humani a me alienum puto (მე ადამიანი ვარ და არაფერი, რაც კი ადამანობას ეხება, არ არის ჩემთვის უცხო), სწორეთ ასევე მთელ ნაციასაც შეუძლიან სთქვას თავის თავზე, რომ არაფერი, რაც კი სხვა ნაციებს მოეპოებათ, არ არის მისთვის უცხო ან მიუწდომელი, განვითარების შესაფერ საფეხურზე. ყველა ნაციები ერთმანეთს ჰგვანან განვითარების ერთსა და იმავე საფეხურზე. სოციალიზმის დროს ნაციები უეჭველია ერთი მეორეს გაუთანასწორდებიან კულტურული დონეთი; **არსებითად** ყველგან იქნება ერთი და იგივე საზოგადოებრივი წეს-წყობილება, ერთი და იგივე ტეხნიკა, მეცნიერება, ხელოვნება, ფილოსოფია; ნაციები ერთმანეთს გაუთანასწორდებიან კულტურის **შინაარსით**. მაგრამ როგორც ერთი ნაციის ცალკე ადამიანთა გათანასწორება სწავლა-ცოდნით და აღზრდა-განათლებით არა ნიშნავს მათს ინდივიდუალობის მოსპობას, სწორეთ ასევე ნაციათა გათანასწორება კულტურის მატერიალურ შინაარსიის მხრივ არ მოასწავებს მათ სხვა და სხვაობის მოსპობას. ეს აზრი შეიძლება ნათელ-ვყოთ წარსულის მაგალითით. გეცოდინებათ, რომ მეთერთმეტე საუკუნის დამლევიდან, ვიდრე მონგოლების შემოსევამდე, მეცამეტე საუკუნის პირველ მეოთხედამდე, ქართველობამ განიცადა კულტურულ განვითარების განსაკუთრებული ხანა. მრავალ უცხო ენების ცოდნა და ამ ენებზე ლიტერატურის შესწავლა აუცილებელი პირობა იყო ქართულ სწავლა-აღზრდისა. უცხო ენებზე ლაპარაკობენ და სწერენ მეფეთა სასახლეებშიაც. ასე მეფე დიმიტრის, დავითის შვილს, მიწერ-მოწერა ჰქონდა არაბულ და სირიულ ენებზე; თფილისში იმყოფებოდა უმაღლესი სასწავლებელი; აქვე, ჩვენი ქვეყნის სატახტო ქალაქში, თავს იყრიდენ სხვა და სხვა ქვეყნებისა და ნაციების სწავლულნი და პოეტები;[5]) ერთი სიტყვით, საქართველო მაშინ განიცდიდა უცხო ნაციების კულტურის ძლიერ ზე-გავლენას. მაგრამ სწორეთ ამ ხანაში ქართველთა ნაციონალური სახე უფრო მკაფიოთ ჩამოყალიბდა, სწორეთ ამ დროსვე ჩვენი ნაციონალური

[4]) ამას წინათ მოსული ცნობით ამ ენაზე გადაუთარგმნიათ ბ-ნ სუმბათაშვილის ცნობილი პიესა „ღალატი“ და მალე ითამაშებენ პარიჟის ერთ-ერთ სცენაზეო.

[5]) იხ. სხვათა შორის პროფ. მარრის „История Грузии“.

კულტურა განვითარების შეუდარებელ სიმაღლემდე ავიდა. ამ ხანასვე ეკუთვნის შოთა რუსთაველის „ვეფხვის ტყაოსანი“, რომლის სიუჟეტი, სპარსულიდან არის აღებული და რომელიც ერთი უძვირფასესი განძია ქართულ ნაციონალურ კულტურისა. რათ მოხდა ასე? რატომ პირიქით არ მიმქრალდა ჩვენი ნაციონალური სახე და არ გავილესენით სხვა ნაციებში? სწორეთ იმიტომ, რომ ქართველობა მაშინ უკვე გარკვეულ ნაციონალურ კულტურის დონეზე იდგა და ყველაფერს, რასაც კი სხვა ნაციებისაგან იღებდა, რასაც კი სხვათაგან სწავლობდა, ყველაფერს იგი თავის ნაციონალურ ფორმებში აყალიბებდა, ყველაფერს თავის ნაციონალურ ბეჭედს ასვამდა. ასევე იქნება შემდეგშიაც. ასევე იქნება მუდამ.[6])

სოციალიზმის დროს რამდენიც უფრო მეტი განვითარებული იქნება ნაცია, იგი იმდენათ უფრო მტკიცე თავისებურობის ბეჭედს დაასვავს ყველაფერს, რასაც კი სხვა ნაციებისაგან შეიძენს. ამასთანავე, რაკი ნაციონალური კულტურა ნაციის თვითეულ ადამიანის საერთო კუთვნილება იქნება, ცხადია, რომ ყოველი ახალი აზრი თუ რაიმე მიმდინარეობა, ვიდრე მიღებულ იქმნებოდეს რომელიმე ნაციისაგან, უმალ უნდა შეისისხლხორცებოდეს თვითუულ ადამიანისაგან. დაბოლოს ამას შედეგათ ის მოჰყვება, რომ ნაციისგან მიღებული ახალი შენაძენი, თქმა არ უნდა, დიდათ განსხვავებული დარჩება დედანისაგან. ეს კი იმას ნიშნავს, რომ რამდენიც წინ წავა კაცობრიობა განვითარების გზაზე, იმდენათ იგი უფრო მტკიცეთ და გარკვევით იქნება დანაწილებული სხვა და სხვა ნაციებათ.

ამგვარათ სოციალიზმი კი არ სპობს ნაციებს, არამედ ანვითარებს მათ უმაღლეს წერტილამდე იგი ნაციის მთელ ვინაობას აქსოვებს თვითეულ მის წევრის არსებაში; ნაციის მთელი ნიჭიერება-გენიოსობა ვრცელდება თვითეულ ადამიანზე. და მთელ კაცობრიობის შემოქმედ ძალებსაც ეხსნება შეუდარებელი ასპარეზი უფართოეს და უმაღლეს ჰორიზონტებისაკენ.

სოციალიზმის განსახორციელებლათ კი ისტორიულათ მოწოდებულია საერთაშორისო პროლეტარიატი. ხოლო ამ უკანასკნელის გოლიათურ ბრძოლას განთავისუფლებისათვის წინ ეღობება ძლიერი დაბრკოლება, რომლის თავიდან მოშორება მიუცილებელი პირობაა საბოლოო გამარჯვებისა. ამ დაბრკოლებას შეიცავს ნაციონალური საკითხი თვისი სპეციფიკური სახით. როდის, რა პირობებში იბადება ეს საკითხი და როგორია მისი შინაარსი, ამაზე შემდეგ წერილში.

ონ.

[6]) ვიგულისხმებთ, რასაკვირველია, დროის იმ მანძილს, სადამდინაც კი შეიძლება განსჭვრიტოს თანამედროვე ადამიანთა გონების თვალმა. ხოლო ნამდვილათ მუდმივი სიცოცხლე კი არც ჩვენს დედა-მიწას მოეპოება და არც მზე და მთვარეს.

სხვა-და-სხვა ამბები
ჩვენში.

— 11 ივლისს ქუთაისის გენ.-გუბ. განკარგულებით შორაპნინ მაზრაში დააპატიმრეს ექიმი ივანე გომირთელი. ის სტრაჟნიკების თანხლებით ქუთაისის საპატიმროში გაგზავნეს.

— როგორც გაზ. „Зак.“-ს შეუტყვია, თფილისის მაზრის საგარეჯოს, გიორგიწმინდის, მანავის, ნინოწმინდის და პატარძეულის საზოგადოებებისათვის ნამესტნიკის ბრძანებით, უნდა დაინიშნოს მთავრობის მამასახლისი, რომელსაც სოფლებმა უნდა აძლიონ თვეში 40 მ. საგარეჯოს საზოგადოებაში იდგება დარაჯთა რაზმი, რომელიც შესდგება ათი ცხენიან სტრაჟნიკისაგან; თითო სტრაჟნიკი მიიღებს ჯამაგირათ სამ-სამ თუმანს. სოფლებმა უნდა შეიძინონ მათთვის 11 ბერდანა და 500 პატრონა, სოფლებმავე უნდა მისცენ მათ ბინა. ეს ხარჯი, ბინის ქირისა და იარაღის ფასის გარდა, შეადგენს ყოველ წლივ 4080 მან.

— გაზ. „ამირანმა“ ლეიპციგიდან მიიღო შემდეგი დეპეშა: „სტუდენტი ემუხვარი შიმშილითა კვდება. ადარავითარი საშუალება არა გვაქვს დავეხმაროთ. მიეშველენით და დაიხსენით სიკვდილისაგან. მიეცით ღონისძიება სამშობლოში დაბრუნებისა. ადრესი: ლეიპციგი ღამბაშიძეს.“

— ამ უკანასკნელ დღეებში თფილისში მასსიური ჩხრეკა-დაპატიმრებაა. დაიჭირეს რამდენიმე ტრამვაიზე მოსამსახურე პირი. ჩხრეკამენ ღვინის სარდაფებს, გამვლელ-გამომვლელთ, სახელოსნოებს, ბინებს და სხვა.

— როგორც დეპეშები გადმოგვცემენ ცარიცინსა, ასტრახანსა და მათ მახლობელ ქალაქებში გაჩნდა ხოლერა. თფილისის ქალაქის გამგეობა შეუდგა ეხლავე საჭირო ღონის-ძიების მიღებას ამ სენთან საბრძოლველათ.

— ამ მოკლე ხანში ფ. გოგიჩაიშვილის რედაქტორობით განახლდება ყოველ კვირეულ გაზ. „ივერიის“ გამოცემა.

— რკინის გზის მთავარ სახელოსნოებიდან დაითხოვეს 250 მუშა; მათ წინადადება მისცეს დაუყონებლივ გავიდენ თფილისიდან.

— „გოლ. კ.“ გადმოგვცემს, რომ ერთ ერთ თფილისის სიპატიმროში მოუწამლავთ ჯარის კაცები. გარდაიცვალა 8 კაცი. დანარჩენების მორჩენის იმედი არა აქვთ. ვინ ჩაიდინა ეს საქმე ჯერ-ჯერობით გამოურკვეველია.

— 23 ივლისს თფ. სამოსამართლო პალატის სესია განიხილავს ქუთაისში „სვანეთის რესპუბლიკის“ საქმეს. პასუხის გებაში მიცემულია 37 კაცი.

დიდი-ჯიხაიშიდან გვწერენ: „ადგილობრივმა ექიმმა ვ. ლორთქიფანიძემ იერიში მიიტანა ყველა ქსენონში მოსამსახურე პირებზე და ჯერჯერობით, ყოველთა უმიზეზოთ, დაითხოვა, წვრილი ცოლშვილის პა-

ტრონი ხელზე მოსამსახურე დარსაველიძე. დარსაველიძე თითქმის წელიწად-ნახევარია, რაც ქსენონში მსახურებს იმავე ექიმთან და დღემდის კეთილსინდისიერათ და ერთგულათ ასრულებდა თავის მოვალეობას. ამ ბოლო დროს ექიმმა, როცა მას ერთი მესაიდუმლე მოსამსახურე დაუშორეს, აითვალწუნა ყველა დანარჩენი მოსამსახურეები და ჯერჯერობით მისი მსხვერპლი გახდა ხსენებული დარსაველიძე".

რ უ ს ე თ შ ი.

— სიკვდილით დასჯეს: სევასტოპოლში.—ერთი (ლიტვიჩენკო, რომელმაც ესროლა გენ. დუმბაძეს ყუმბარა); ოდესაში—ორი (კაპიტანი გლინსკი და გლეხი ნიკიტინი სევასტოპოლის აჯანყების მონაწილენი), მინსკში—ერთი, ეკატერინოსლავში—სამი, რიგაში--ორი, ვილნოში—ერთი. ოდესაში—ორი, სარატოვში—ერთი.

— სიკვდილით დასჯა გადუწყვიტეს: პეტერბურგში—ერთს, რეველში—ოთხს, სარატოვში—სამს, კიევში—რვას, ვილნოში—ორს, პროსკუროკში—ერთს, სამარაში—ორს, ვარშავაში—სამს, ხარკოვში—ოთხს, ეკატერინოსლავში—ორს. („რეჩი" № № 159—165).

— რიგაში სამხედრო სამართალში მისცეს ოცი კაცი, რომელთაც აბრალებენ პროპაგანდის გაწევას ჯარში.

— პიროგოვის ექიმთა საზოგადოების გამგეობამ შარშან მიმართა რუსეთის ყველა საგუბერნიო და სამაზრო ერობებს თხოვნით შეეტყობინებიათ მისთვის სიმშილისა და უპმელობისაგნ დავთრებში აღნიშნულ ავათმყოფთა რიცხვი. გამგეობას მიუღია პასუხი ვიატკის, ნიჟეგოროდის, რიაზანის, კოსტრომის, ვორონეჟის, ორლოვის, უფიმის, ტამბოვის და სიმბირსკის გუბერნიებიდან. მიღებული ცნობები ეხება 1903—7 წლ. ეს ცნობები რასაკვირველია, სრული არაა და არც ყველა მაზრებშია შეკრებილი. აღნიშნულ 9 გუბერნიაში უპმელობის გამო გამხდარა ავათ სახადისა, სურავანდისა, სისხისა და ჰავკურისაგან 1903 წ. 10,498, 1904 წ.—78,054, 1905 წ.—89,651, 1906 წ.—115,679 კაცი. ყველა გუბერნიებში სპარბობს სახადით ავათმყოფთა რიცხვი რაც შეეხება 1907 წ., პირველ სამ თვეს შეტანილია დავთარში სახადით ავადმყოფი—24,800, სურავანდით—39,318 კაცი; სულ სიმშილისაგან ავადმყოფი ჩაწერილა სამი თვის განმავლობაში 70,520 კ.

— „რ. ს." ატყობინებენ, რომ მწვავდება დამოკიდებულება კირგიზებსა და რუს გადასახლებულთა შორის. ამ ცოტა ხანში მოსვლიათ მათ შეტაკება უბრალო საქმის გამო ტურგაის საბაზრო ადგილზე. დაჭრილია ორი კირგიზი, ნაცემია სამი რუსი. კირგიზებმა თავიანთ სოფლის რუსი მასწავლებელი კოლდიეროვი გაიტაცეს მინდორში, დასჭრეს მუცელში სამ ადგილას, მერე მოაბეს ცხენს კუდზე და მანამდის არბეინეს, სანამ სიკვდილმა არ მოუღო ბოლო მის ტანჯვა-წვალებას.

— დაჯარიმეს გაზეთები: „რუსკია ვედომოსტი" 3000 მან., რადგანაც მასში მოთავსებული იყო ლ. ნ. ტოლსტოის წერილი სიკვდილის დასჯის წინააღმდეგ; „გლას ნაროდა" (ელისავეტგრადში)—1000 მან., „სარატოვსკი ლისტოკი"—200 მან.; „იუჟნია ვედომოსტის" ნომრებს კონფიკაცია უყვეს (მოთავსებული იყო ლ. ნ. ტოლსტოის წერილი „არ შემიძლიან გაჩუმება).

— „სმოლენსკის ლისტოკის" ყოფილი რედაქტორი გადაასახლეს ორი წლის ვადით ვოლოგდის გუბერნიაში.

—იუზოვკაში, რიკოვის მახლობელ მაღაროებში, კიდევ აფეთქდა გაზი; დაიღუპა სამი მუშა, სამი დაშავებულია.

— იაროსლავში დუნაევის თუთუნის ფაბრიკაში აფეთქდა ქვაბი. მოკლულია კაჩეგარი. 8 მუშა მძიმეთაა დაშავებული.

— კალიშევისა და ტურეკის შუა ესროლეს ყუმბარა საფოსტო ფურგუნს. მეეტლე და ორი სალდათი მოკლეს. ერთი ჯარისკაცთაგანი დაიჭრა, ფულის წაღება ვერ მოასწრეს.

— რომენის მაზრაში გაძარცვეს სმელიანის ფოშტის განყოფილება; ფოშტის განყოფილების უფროსი ჯ მისი ცოლი ძალიანაა ნაცემი.

— ყოფილ დეპუტატ კირიენკოს ბორკილები გაუყარეს და ეტაფით გაგზავნეს ციმბირისკენ.

— კინეშმში (კოსტრომის გუბ.) აღმოუჩენიათ ს.-დ.-ბის ორგანიზაცია და მათი საიდუმლო სტამბა. დააპატიმრეს 21 კაცი. იპოვეს შრიფტი, გეექტოგრაფი და აუარებელი არალეგარული ლიტერატურა.

— ასტრახანსა, ცარიცინსა და მათ მახლობელ ქალაქებში გაჩნდა ხორველა.

— კრემენჩუგში დააპატიმრეს და სამართალში მისცეს ნედოგარის ნაწილის ურიადნიკი, რომელმაც გლეხ ჟურბის ქოხში გააუპატიურა სახლის პატრონის ოთხის წლის ქალი.

—სოფ. ულიანოკაში (ალექსანდროვის მაზრა) აღძრულია საქმე ადგილობრივ მღვდლის ლ. სოკოლოვის წინააღმდეგ, რომელსაც აბრალებენ ახალგაზდა ქალის, მედავითნის მოსამსახურის, გაუპატიურებას. გამომძიებელთან გამოცხადებულა მეორე ქალი და განუცხადებია, რომ ხსენებულ მამამ მეც მოსამსახურესთანა საქმე დამმართაო.

— კიევის ნიკოლსკის გარეთ უბნის „მოკავშირეთ", რიცხვით 40 კაცმა, ღამის 11 ს. მორთეს ყვირილი „ჟიდები," ჩაამტვრიეს კავშირის საჩაიეს ფანჯრები და დაუწყეს ცემა-ტყეპა ებრაელებს. მერე დაიჭირეს „ცეპნოი" ხიდი, რომელიც აერთებს გარეთ-უბანს კიევთან, დაუწყეს ჩხრეკა და სინჯვა გამვლელ-გამომვლელთ, როგორც ურიებს, ისე რუსებსაც. ბევრი გამოეთხოვა თავის ფულებს. პოლიცია ამ ხნის განმავლობაში არსადა სჩანდა.

— 6 ივლისს უმაღლესათ დამტკიცებულ იქნა სახელმწიფოს შემოსავალ გასავალის ნუსხა, შედგენილი სახელმწიფოს საბჭოს და სახელმწიფოს დუმის მიერ. აღნიშნულ ნუსხაში 1908 წლ. ნაანგარიშევია შემოსავალი: ჩვეულებრივი—2.386.945,498 მან. და განსა-

კუთრებული რესსურსების—194.457.670 მან., სულ—2.581.403.168 მან. სახელმწიფო გასავალი-ჩვეულებრივი—2.312.251.090 მ., და განსაკუთრებული—269.-151.078 მან., სულ—2.581.403.168 მან., ჩვეულებრივი შემოსავალი გასავალს სჭარბობს 74.694.408 მან.

— 2 ივლისს, ვორონეჟის საპატიმროში, სისხლის სამართალში მიცემულ ტუსაღებმა, რომელთაც გადაწყვეტილი ჰქონდათ კატორგა სხვა და სხვა ვადით, დაამტვრიეს თავის კამერის კარები და მიესივნენ კარიდორში მყოფ ზედამხედველ დმიტრიევს; მოუკუმეს პირი, ჩამოხსნეს რევოლვერი, გახადეს ფორმის ტანისამოსი, წაათრიეს და კლოზეტში ჩააგდეს. შემდეგ გაემართენ მეორე ზედამხედველ ბორზენკოვისაკენ. ტუსაღებს უნდოდათ ამასაც ისე მოქცეოდენ, როგორც დმიტრიევს, მარა ბორზენკოვი აღმოჩნდა ფიზიკურათ ძლიერი და არ დანებდა მათ. ბორზენკოვმა მოახერხა იმათ ხელიდან განთავისუფლება, რის შემდეგ გამოვარდა გარეთ და ალიაქოთი ასტეხა, ტუსაღებმა რამდენჯერმე ესროლეს რევოლვერი, მაგრამ ვერც ერთი ვერ მოარტყეს.

ტუსაღები გაიქცენ კანტორაში და დასწყვიტეს ტელეფონის მავთულები. ამ ხანებში საპატიმროს ეზოში მოგროვდენ დანარჩენი ზედამხედველები, მათ მიეშველა ერთი როტა სალდათი, ყაზახები, სტრაჟნიკები და სხვა. რამდენიმე მათგანი შევიდა კარიდორში, სადაც კლოზეტის ფიცრის კედელს იქით ელოდებოდენ მათ კატორგელები. უკანასკნელთ დაიწყეს რევოლვერებიდან სროლა, რაზედაც სროლითვე უპასუხეს. როდესაც შესწყვიტეს სროლა აანთეს ლამფები (სროლა მოხდა ბნელ კორიდორში), 4 პატიმარი ნახეს მკვდარი, მათ შორის კოლმიკოვი, რომელსაც ეცვა ზედამხედველ დმიტრიევის ფორმის ტანისამოსი. ერთი ტუსაღთაგანი დაჭრილია. სროლის შემდეგ კლოზეტიდან ამოიყვანეს ზედამხედველი დმიტრიევი, რომელიც აღმოჩნდა დაჭრილი და გაგზავნე, წითელი ჯვრის საავათმყოფოში. გაჩხრიკეს ყველა კამერები. ერთში იპოვეს ორი რევოლვერი, ჩალა, ოთხი ფორთოხლის ოდენა ყუმბარა, და სხვა და სხვა იარაღები. დახოცილნი გაგზავნეს საერობო საავათმყოფოში. ყველა ისინი ახალგაზდებია 25—30 წლ. ოთხივენი კარგათ იყვენ შეიარაღებულნი (ი. კ.)

სპარსეთი.

— **სპარსეთი.** ხეი (ჯულფიდან). მთავრობისა და რევოლიუციონერების შეტაკების შემდეგ მოძრაობა შესწყდა. შეტაკების დროს მოკვდა 8 რევოლიუციონერი, დაიჭირეს ადგილობრივი საიდუმლო კომიტეტი თვისი არხივით. რეპრესიები გრძელდება. დაურდგომელი ელემენტები გაიხვეწენ. ქალაქში მყუდროებაა.

— **სალმას.** 9 ივლისს, სალმასის ხოესა და მაქის მმართველათ დაინიშნა მაქინის ხანი იქბალ-სალტანე. იმის ბძანებით დაიჭირეს ხალხის მოძრაობის მეთაურები, რომელნიც საშინლათ დასაჯეს. მემამულეები ძალიან მადლიერი არიან შაჰის გამარჯვებით, მხოლოთ დანარჩენი მცხოვრები ყრუ შურითაა გაჟღენთილი, მაგრამ დემონსტრაციის გამართვას ვერ ახერხებენ.

— **თეირანი.** „რუსკოე სლოვოს“, „რეჩის“ და „რუსკია ვედომოსტის“ ორი კორესპონდენტი, რომელნიც იმყოფებიან თეირანში გუშინ შაჰმ კერძოთ მიიღო. შაჰმ დაარწმუნა ისინი, რომ მას სურს დაიცვას კონსტიტუციონალური წყობილება სპარსეთში, მოიწვიოს ახალი მეჯლისი და ნება მისცეს გადაიღონ მისი და მისი მემკვიდრის ფოტოგრაფიული სურათი.

— თეირანიდან გაქცეული და ჰამადანში დაჭერილი ცნობილი რევოლიუციის მქადაგებელი სეიდ-ჯამალი გარდაიცვალა საპყრობილეში.

— **თავრიზი.** ეხლა გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ თავრიზის პატრონნი არიან რევოლიუციონერები. შემდეგ საშინელი ძარცვა-მკვლელობისა, რომლის დროს მთელი უბნები დაცალიერდა და ამოწყდა, თავი იჩინა მოტყუილებამ. ცნობილ რევოლიუციონერისა და ენჯუმენის წევრის ჰაჯი-მეჰტის სახელით მისდის მდიდარ სპარსელებსა და რუსეთის ქვეშევრდომთ ფულის თხოვნის წერილები. ამ მუქარის წერილებს რეაქცია აწერს რევოლიუციონერებს, მაგრამ სხვა წყაროები კი ამბობს ამის წინააღმდეგს...

ზარბაზნებისა და თოფების სროლა გრძელდება დრო გამოშვებით. 14 ივლისს მეჩეთში კიდევ იკრიბებოდა ხალხი. ეწეოდენ აგიტაციას რეაქციის მომხრეთა წინააღმდეგ სამღვთო ომის დასაწყებათ. ქალაქის ახლომახლო გზებით ყოვლად შეუძლებელია მიმოსვლა, გზავრებს სცარცვავენ და ჰკლავენ. ამ დღეებში სათარხანს მოუვიდა მაშველი რაზმი 150 კაცისაგან შემდგარი. ეს რაზმი ქმლაქში შევიდა ნაწილ-ნაწილათ 3—4 კაცი, ეხლა მთელი უბნები ბარიკადებითაა მოკული. რეაქცია არაა კმაყოფილი თავის მოქმედებით. რახიმ-ხანს და სხვებს, როგორც არ უნდა დამალონ, აღარ აქვთ წინანდელი რწმენა თავის ძალისა.

ოსმალეთი.

ახალგაზდა ოსმალთა დეკლარაცია. გაზეთებში გამოქვეყნებულია ოტტომანის იმპერიის ოპოზიციონურ პარტიების სიეზდის დეკლარაცია. ეს სიეზდი მოხდა წარსულ წელს დეკემბერში. მასში მონაწილეობას იღებდენ ოსმალეთის კავშირის და პროგრესის კომიტეტი, სომხის რევოლიუციონური ფედერაცია (დაშნაკცუტუნი), ოტომანის კერძო ინიციატივის დეცენტრალიზაციის და კონსტიტუციის ლიგა, ებრაელთა ეგვიპტის კომიტეტი, რედაქცია „Khilapet“ (არაბების ორგანოა), რედაქცია „Razmi“, რედაქცია „Haïmenik“ და კომიტეტი Ahdi Osmani“.

დეკლარაცია იწყება სასტიკი გაკიცხვით როგორც აბდულ-ჰამიდის რეჟიმის ისე თვით სულთანისა, რომელმაც აიკლო, გაალატაკა, შეარცხვინა და ტერიტორიალურათ შეამცირა იმპერია.

შემდეგ დეკლარაცია აღნიშნავს, რომ თუ სულთანის რეჟიმი გაგრძელდა, მაშინ იმპერია დაირღვევა და მას ხელს ჩაავლებენ სხვა სახელმწიფოებიო.

მარტო რეჟიმის დაუყოვნებლივ შეცვლას შეუძლია შეაფერხოს კატასტროფა და იმპერიის დანაწილება.

სიეზდი ამიტომ მოითხოვს:

1) სულთან აბდულ-ჰამიდის გადაყენებას;
2) ეხლანდელ რეჟიმის რადიკალურათ შეცვლას;
3) წარმომადგენლობითი მართვა-გამგეობის შემოღებას.

ამ მიზნების მისაღწევათ სიეზდი აცხადებს შემდეგ საშუალებებს:

1) შეიარაღებული წინააღმდეგობა მთავრობის ყოველ განკარგულებას;
2) წინააღმდეგობის გაწევა პოლიტიკური და ეკონომიური გაფიცვების სახით; გაფიცვა ჩინოვნიკების, პოლიციის და სხვა.
3) გადასახადებზე უარის თქმა;
4) პროპაგანდა ჯარში;
5) საერთო აჯანყება და სხვა და სხვა საშუალებები პირობების დაგვარათ ნაკარნახევი.

ოსმალეთის კონსტიტუცია. ოსმალეთში აღდგენილ იქმნა 1876 წლის კონსტიტუცია, რომელიც არ იყო კანონით გაუქმებული დღემდე, თუმცა საქმით კი ერთ წელზე ნაკლები იარსება. აი კონსტიტუციის შინაარსი:

ოტომანის იმპერიის ერთიანობა და განუყოფლობა, სულთანის უპასუხისმგებლობა და ხელშეუხებლობა; სულთანს ისეთივე უფლება აქვს, როგორიც აქვთ ევროპის კონსტიტუციონალურ ხელმწიფეებს; პირად თავისუფლების უზრუნველყოფა; სახელმწიფო სარწმუნოებათ გამოცხადებულია ისლამი, მაგრამ ყველა ცნობილ სარწმუნოებას უფლება ეძლევა შეასრულოს თავის კულტი (სარწმუნოებრივი წესი) თავისუფლათ; ბეჭდისა და კრების თავისუფლება; პეტიციის უფლება; იმპერიის ყველა ქვეშევრდომთა თანასწორობა კანონის წინაშე. პარლამენტი შესდგება ორი პალატისაგან: სენატისა და დეპუტატთა პალატისაგან; ორივე პალატა ყოველ წელს პირველ ნოემბერს უნდა იქმნეს მოწვეული. თვით დეპუტატებს, თითო კაცს ყოველ 100 ათას მცხოვრებისაგან, ირჩევენ ფარული კენჭის ყრით 4 წლის ვადით. თუ პალატა დათხოვნილ იქმნა, ახლათ არჩეული პალატა მოწვეულ უნდა იქმნას არა უგვიანეს 6 თვისა დათხოვნის შემდეგ.

მოსამართლეებს ვერავინ გადააყენებს; სასამართლოებში ხალხის თანდასწრებით არჩევენ საქმეს. ბიუჯეტი შეტანილ უნდა იქმნას პარლამენტის სესიის დაწყების უმალ და მტკიცდება მხოლოთ ერთი წლის ვადით. საკონტროლო პალატა, რომლის წევრებს ვერავინ გადააყენებს, ყოველ წელს წარუდგენს დეპუტატთა პალატას ბიუჯეტის ასრულების შესახებ ანგარიშს, ყოველ სამ თვეში კი სულთანს წარუდგენს მოხსენებას ფინანსთა მდგომარეობის შესახებ. შემოღებულია ადგილობრივი თვითმართველობა და ადგილობრივ საქმეებს განაგებენ ხალხის მიერ არჩეული ადგილობრივი საბჭოები. პირველ დაწყებითი სწავლა სავალდებულოა ყველასათვის.

სტამბოლი. გუშინ ნაშუადღევს ილდიზის წინ გაიმართა უზარ-მაზარი დემონსტრაცია. დემონტრაციაში ათიათასობით იღებდენ მონაწილეობას; დემონსტრატები ატარებდენ დროშებს შემდეგი ზენაწერით: „გაუმარჯოს თავისუფლებას, გაუმარჯოს კონსტიტუციას! კაცებით და ოსმალის ქალებით გაჭედილი იყო ქუჩები. ისინი აღფრთოვანებულნი სალამს აძლევდენ დემონსტრანტებს. ცენზურის მოსპობამ და უკანასკნელმა პოლიტიკურმა ამბებმა გამოიწვია ოსმალეთის პრესის აღორძინება. გაზეთების ტირაჟი აღწევს წარმოუდგენელ რიცხვს წასულთან შედარებით. ოსმალეთის პრესსა აღფრთოვანებული ეგებება ცენზურისა და საიდუმლო პოლიციის გაუქმებას; არჩევნებს დაუყონებლივ და ენერგიულათ შეუდგებიან ყოველგან. პარლამენტი გაიხსნება 1 ნოემბერს.

— ანატოლიიდან იტყობინებიან, რომ ხალხი აღფრთოვანებულია; სულთანის ირადეს კითხულობენ ქუჩასა, მოედნებსა და ყავა-ხანებში. ოსმალი, ბერძენი, სომეხი, ებრაელი ერთმანეთს ულოცავენ, მხიარულობენ და პატიჟობენ. ხალხი ემზადება არჩევნებისათვის; პარლამენტის გახსნა მოხდება დიდის ზეიმით. პარლამენტის გახსნიდან დაიწყება მოჩუხჩუხე ცხოვრება. ხალხის საჭირობა უკვე აღნიშნულია: საყოველთაო პირველ დაწყებითი განათლება, უმთავრეს ქალაქებში მაღალი სასწავლებლების გახსნა, რკინის გზების გაყვანა, ვაჭრობა. მრეწველობის განვითარება, მადნების ექსპლუატაცია და სხვა.

— **სტამბოლი.** გაზეთები იტყობინებიან, რომ გუშინ, როდესაც პოლიტიკურ-ადმინისტრატულ პატიმრებს ანთავისუფლებდენ ცენტრალური საპყრობილიდან სისხლის სამართლის პატიმრებმაც მოითხოვეს განთავისუფლება და ხელს უშლიდენ პოლიტიკურების გასვლას, დიდი ვეზირის ჩარევით საქმე მშვიდობიანათ გათავდა. სისხლის ღვრა არ მომხდარა.

— გაანთავისუფლეს 166 კაცი პოლიტიკური პატიმარი, ამათ რიცხვში სომხებიც ურევია.

ზღვის პირას მოლოდინში, ქანდაკება, **ეირარდისა**

პირველ სახელ. დუმის დეპუტატ. გასამართლება.*)

30 ივნისს პეტერბურგის სამოსამართლო პალატამ გაარჩია 1-ლი სახელმწიფო დუმის ცხრა დეპუტატის საქმე, რომელნიც, სხვა და სხვა მიზეზების გამო დეკემბრის პროცესის დროს ვიბორგის მოწოდების შედგენისა და ხელის მოწერისათვის, გამოჰყვეს ცალკე ჯგუფათ.

სხდომა დაიწყო დღისით $11^1/_2$ საათზე. ცხრა ბრალდებულთაგან გამოცხადდა შვიდი: პროფ. ლ. ი. პეტრაჟიცკი, ა. დ. აივაზოვი და ე. გ. შოლპი (კადეტებია), ი. დ. ბიჩკოვი და ს. ტ. ტუმბუსოვი (შრომის ჯგუფის წევრები); ი. გ. გომართელი და ა. ი. სმირნოვი (ს.-დ.). უკანასკნელი 8 თვეზე მეტია, რაც კოსტრომის გუბერნატორის განკარგულებით ციხეში იყო დაპატიმრებული. სასამართლოში მოიყვანეს ის საპატიმროდან.

ორი, ერმოლაევი და შუვალოვი, ავადმყოფობის გამო არ გამოცხადდენ. ამათი საქმე ცალკე გამოჰყვეს.

ბრალდებულთ იცავდენ გრუზენბერგი, ვეისმანი, ბულატი, გუსევიჩი და ოვსიანნიკოვი.

წაკითხულ იქნა საბრალმდებულო აქტი, საიდანაც სჩანს, რომ არც ერთი არ უარყოფს მოწოდებაზე ხელის მოწერას; მის გავრცელებაზე კი ყველანი უარს აცხადებენ.

აქტის წაკითხვის შემდეგ თავმჯდომარის შეკითხვაზე —სცნობენ თუ არა ბრალდებულნი თავის-თავს დამნაშავეთ—ყველანი უარყოფით უპასუხებენ; ბიჩკოვმა ამასთანავე დაუმატა, რომ ის ასრულებდა მის გამგზავნელ ხალხის ნებას და სურვილს.

ამის შემდეგ გამოჰკითხეს მოწმეებს. მოწმე სტახოვიჩი აცხადებს, რომ როდესაც ის მივიდა ვიბორგში სახელმწიფო დუმის ერთი ჯგუფის დავალებით, საერთო სხდომა უკვე გათავებული იყო. დეპუტატები ფრაქციებათ იყვენ დაყოფილი და, უმთავრესათ, სჯა-ბაასი ჰქონდათ მოწოდების მეორე ნახევარზე. კადეტების უმრავლესობა მეორე ნახევარის წინააღმდეგი იყო. სხვათა შორის იმის წინააღმდეგ ილაპარაკა პროფ. ლ. ი. პეტრაჟიცკიმ. მოხდა საერთო კრება, რომელზედაც თავ. დოლგორუკოვმა გამოაცხადა ფინლიანდიის გენ.-გუბ. მიწერილობა, თუ ვინიცობაა დეპუტატები არ წავლენ ვიბორგიდან, ის შემოიღებს ჭალაქში სამხედრო წესებსო. ვინავერმა მისცა წინადადება კრებას წასულიყვენ შვეციაში. პეტრუნკევიჩი არჩევდა მიეღო კრებას მოწოდება, მხოლოთ მისი საბოლოო რედაქცია მიენდო განსაკუთრებულ კომიტეტისთვის. უკანასკნელი წანადადება მიღებულ იქნა, თუმცა პეტრაჟიცკიმ და სხვებმა ილაპარაკეს კიდევ მოწოდების მეორე ნახევრის წინააღმდეგ.

უმრავლესობამ მიიღო მოწოდება მეორე ნახევრით. მას ხელი მოაწერა ბევრმა იმათგანმა, ვინც მის წინააღმდეგი იყო.

ვეისმანის შეკითხვაზე მოწმემ განაცხადა, რომ ვიბორგში მოწოდების გავრცელების შესახებ მას არაფერი გაუგია. დანარჩენ შეკითხვებიდან გამოირკვა, რომ მოწოდების პროექტის განხილვა კიდევ უნდოდათ, მაგრამ მათ ეს ვერ მოახერხეს.

სტახოვიჩის გამოკითხვის შემდეგ, ნაფ. ვექ. ბულატი აცხადებს ტრუდოვიკების მხრივ, რომ მათ გადაწყვიტეს მოწმეების გამოკითხვაში და სამოსამართლო გამოძიებაში მონაწილეობა არ მიიღონ. ტრუდოვიკებისავე ფრაქციის სახელით ბრალდებული ტუმბუსოვი აცხადებს, რომ ყველამ მათ (50 კაც.) მოაწერეს ხელი მოწოდებას, რადგან სცნობდენ მას მიზნის შესაფერისათ. თუ ზოგიერთი ტრუდოვიკები პროტესტს აცხადებდენ, ეს მხოლოთ იმიტომ, რომ ტონი მოწოდებისა და მისგან აღიარებული საშუალებები მიეჩნდათ ძალიან სუსტათ. დანარჩენში ბრალდებული-ტრუდოვიკები უერთდებიან თავის ამხანაგების ნათქვამს დეკემბრის პროცესის დროს.

მეორე ტრუდოვიკი, გლეხი ბიჩკოვი, აცხადებს, რომ იძულებული იყო ხელი მოეწერა მოწოდებისათვის იმ ნაკაზის ძალით, რომელიც მისცეს მას გლეხებმა და ავალებდენ მას დუმაში მოეთხოვა მიწა და თავისუფლება. მშიერისა და ნახევრათ ჩაუცმელ გლეხების წარმომადგენელს არ შეეძლო სხვა ნაირათ მოქცეულიყოო.

იურიდიულ დაცვაზე უარს აცხადებს ს.-დ. ფრაქციის ბრალდებულთა მხრივ ნაფ. ვექ. თანაშემ. ოვსიანიკოვი. პროკურორის ამხ. მხარს უჭერს ბრალდებას მთლათ.

ამის შემდეგ ნაფ. ვექ. გრუზენბერგმა მისცა კითხვა მოსამართლეებს:

—მართლა თქვენ, როგორც ამას პროკურორი ამბობს, დღეს არა გაქვთ გასარჩევი საქმე?

მართლა თქვენ იმისთვის ხომ არ შეიკრიბენით, რომ დაასოთ ბეჭედი წინადვე განმზადებულ განაჩენს, რომელიც წარმოადგენს მხოლოთ დეკემბრის პეტერბურგის სამოსამართლო პალატის განაჩენის პირს.

მე არ მინდა ეს დავიჯერო, რადგან ამის წინააღმდეგ პროტესტს აცხადებს ჩემი სამართლისადმი პატივის ცემის გრძნობა.

მე მოვედი აქ იმისთვის კი არა, რო გავეჯიბრო ბ-ნ პროკურორს ბრალდებულთა პოლიტიკურ მოქმედების დაფასებაში. დეპუტეტების პოლიტ. მოქმედება სასამართლოს დაფასების გარეშე იმყოფება. ის მასზე მაღლა დგას.

იმ დიად ბრძოლაში, რომელსაც აწარმოებდენ ხალხის წარმომადგენლები მთავრობასთან ხალხის თავისუფლებისათვის, უკანასკნელი სიტყვა არ ეკუთვნის არც პროკურორს, არც მოსამართლეებს, არამედ—მხოლოთ ხალხს—მარტო იმას. ამას დამნაშავეთ არ უცვნია თავისს არჩეულნი. ის არა სთვლის მათ დიდებული საქმის მოღალატეთ. ხალხმა იცის, რომ იდეების ფარგლებში, ახალი საუკეთესო ფორმების დამყარებაში შეუძლებელია სამუდამო დამარცხება,—არის ხოლმე მარტო დროებით შეჩერება. ხალხმა ეს იცის და ღრმათაც დარწმუნებულია, რომ ის დიადი მიზნები, რომელიც დაისახა პირველმა დუმამ, უეჭველათ და ძალიან ჩქარაც განხორციელდება.

*) ამ წერილის დაბეჭდა დაგვიანდა. რედ.

არა, მე, არც იდეებზე, არც იმ დიად მოვალეობაზე, რომელიც იწვევს ხალხს შეურიგებელ ბრძოლისაკენ, მანამდის საბოლოოთ არ გაიმარჯვებს ის, არ მინდა თქვენთან ლაპარაკი მსაჯულნო!

გრუზენბერგმა თავისი სიტყვა დაათავა შემდეგით: „მე თავს ვიხრი მათი ტანჯვის მშვენიერების წინაშე. მე ვაფასებ შესაფერისათ მათ აღფრთოვანებას, მარა მაინც მგონია, რომ მათი გამბედავი და ძლიერი ცხოვრებიდან სრულიად არა ღირს ამოვგლიჯოთ ტყეილ-უბრალოთ სამი თვე ციხეში სამყოფათ, როდესაც ეს დრო შეიძლება მოხმარდეს—შეუდარებლათ უკეთესს საქმეს“.

საღამოს 7 ს. გიმოაცხად ს განაჩენი, რომელიც თითქმის განმეორებაა დეკემბრის საქმის განაჩენისა.

ყველა ბრალდებულნი იცნეს დამნაშავეთ და მიუსაჯეს სამ-სამი თვით დაპატიმრება.

*
* *

ადამის ძეო, თავისუფლათ შექმნილ-აღზრდილო,
შენთვის ხუნდები, ბორკილები რათ გამოსჭედეს?
რათ, რათ მოგისპეს შენს ნებაზე გარე ნავარდი,
და „ცხრა-კლიტულში“, გალიაში რისთვის ჩაგჭედეს?!
ეგებ, ჭაბუკო, ვერ შეეწყე დუხჭირ ცხოვრებას:
მდიდარს მოსტაცე, იყაჩაღე, კაცს არ ინდობდი?
ან მყუდროება დაურღვიე ვინმე ბობოლას
უხეში ქცევით, სითამამით არვის რიდობდი?!
ან იქნებ ძმა ძმას გადაჰკიდე, ულალატევი,
რომ მხოლოთ შენთვის მოგეხვეჭა ბედნიერება;
სხვები ატირე, შენ კი შორით იღიმებოდი,—
გულს გიხარებდა მათი ტანჯვა, მოძმეთა ვნება?!
ან თუ სატრფოსგან დაჩაგრულმა შური იძიე:
კაცი იმსხვერპლე, საზიზღრობა რამ ჩაიდინე;
მოჰკალ „მეტოქე“, დაარბიე შეყვარებულნი
და იმათ კერას, თავ-შესაფარს ბდღვირი ადინე?!
მაგრამ, რას ვამბობ! შენ ხომ შრომის მძიმე უღელი
კისერზე გედო, ეწეოდი ჭაპან-წყვეტითა?—
ყველას მონურათ ქედს უხრიდი, ფეხთ ეგებოდი,
უხმოთ იტანდი, თუნდ ეცემათ კიდეც კეტითა!..
შენ ხომ ვერ გრძნობდი ცხოვრებისა უსამართლებას,
როგორ გძარცვავდენ, ტყავს გაძრობდენ ემაგ ზურგზედა?
არც ის იცოდი —შენის ოფლით ვინა ხარობდა,
მხოლოდ შრომობდი... ჯანსა ცვეთდი ლუკმა-პურზედა...
სატრფოს ალერსი?—ეგ ხომ შენთვის მოჩვენებაა!
ვინ გიკადრებდა, ძმაო, მუშას მუდამ გამურულს?!
ვინ იყო გიჟი, რომ შენთვისა ეთქვა: „მიყვარხარ“,
განა ქალს შენებრ „უბედური“ აუტოკენს გულს?!.
მაშ, რა მიზეზით დაგატყვევეს, დაგასაპყარეს,—
ბნელ საკანშია რისთვის მოგცეს ჭაბუკსა ბინა?
იმიტომ, რომ ვერ გაუძელ უღვთო შრომასა,
ტანჯულმა გულმა ერთხელ მწარეთ ამოიგმინა?!.

—

ეხ, შრომის შვილო, მონავ ფულის, მონავ კაცისა,
შენ არც კი უწყი, შენს ცხოვრებას თუ ვინა მართავს!
დროა, დაფიქრდი, დაუკვირდი ვაგლახ ყოფასა:
როდემდის გინდა მონათ იყვე? —ჰკითხე შენსა თავს...

ალ. გერასიმიძე.

დედეგი.

(მოთხრობა).

I.

გაციაგებული დილა იყო. ღრუბლები მისცურავდა ცაზე, რომელიც აქა-იქ ლაჟვარდ ზოლებად დასერილიყო. დრო და დრო მზე გამოიჭიატებდა, მაგრამ ისევ მალე იმალებოდა ღრუბლებში. ბუნებას უნდოდა ცრემლებათ დაღვრილიყო, მაგრამ თითქო რიღასაც რცხვენიანო, ვერ ბედავდა.

ქალაქი ჩვეულებრივად ხმაურობდა, ღელავდა, ქუჩები ხალხით ავსილიყო. დესიკო მიდიოდა ქვაფენილზე წყნარათ. გახუნებულ მოსასხამის კალთებს მალმალ წინა სწევდა, თითქო ცდილობდა მთელი თავისი არსება მოსასხაში ჩაემალა. დესიკოს მიმზიდველი, გამხდარი სახე მოქანცულიყო, რაღაც ნაღველს ხატავდა. ხშირათ შრიალით ჩამოუვლიდენ ახალგაზდა, უზრუნველი ქალები, კოხტათ გამოწყობილი ყმაწვილები, ამაყათ გამომყურე მდიდრები, წელში მოხრილი დაავადებულნი სნეულნი. დესიკო არავის უყურებდა, იმას არავისთვის სცალოდა.

მაგრამ აგერა დესიკოს ყურში შეესმა აბრეშუმის კაბის შრიალი, თავი აიღო, რომ სული მოეთქვა და მოქანცულის თვალებით შეაჩერდა მშვენიერის ჟუჟუნა თვალებს. მშვენიერის ჟუჟუნა თვალებიც დაკვირვებით უყურებდენ დესიკოს, დასცქერავდენ იმის გახუნებულ მოსასხამზე. მშვენიერს წარბებ შუა გაუკეთდა ოდნავათ შესამჩნევი ნაკეცები, ლამაზმა ტუჩებმა გარშემო ჩრდილი შემოიყენეს, დესიკომ ცხადათ ამოიკითხა მის თვალებში:

—„ვითომ შენც რამე ხარ ამ ქვეყანაზეო“?..

ამ დროს მშვენიერს წამოეწია კოხტა ყმაწვილი კაცი, ქალმა კეკლუცათ მიიღო მისი სალამი. დესიკომ კვალათ შეხედა მშვენიერს და ამისმა თვალებმაც უსიტყვოთ გადასცეს მაგიერი პასუხი:

—მებრალები, საცოდავო, რომ ცხოვრებას არ იცნობ!

კვალათ სურათი სურათმა შესცვალა, შთაბეჭდილებანი მოქუჩდენ და ერთმანეთში გაურკვევლად აირივნენ.

დესიკო უკვე მიახლოვებოდა ქალაქის ბაღს, შეუხვია ქვაფენილიდან.

დესიკომ იგრძნო, რომ თითქო ცოტათი შემსუბუქ-

და, ფეხ-ქვეშ ეგებოდა რბილი, ფხვიერი დედა-მიწა, რომელიც ბილიკებათ მიდიოდა მწვანე ბუჩქებსა და მაღალ ხეებ შუა. ბუჩქებს გარს ევლებოდენ წვრილი მავთულები, რომელნიც იფარავდენ ათასფერათ გამომყურე ყვავილებს შეხებისაგან. ხეებ ქვეშ სკამებზე მოსჩანდენ ახალგაზდანი, ზოგან დარბაისელნიც, დესიკო აქეთ-იქით იყურებოდა, ეძებდა ცარიელ სკამს, მაგრამ ყველგან ადგილი დაჭერილი იყო.

—რა დროს დასვენებაა! ისინი ყოველთვის ქვევით ბაღში არიას ხოლმე, გაიფიქრა დესიკომ და გადიარა ქუჩა, რომელიც შუაზე ჰყოფდა ბაღს. მართლაც აქ სკამებზე ჩამწკრივებული იყვნენ ქალები, გამვლელ-გამომვლელს შესჩერებოდენ.

დესიკომ ფეხს აუჩქარა. მივიდა ერთ სკამთან, რომელზედაც ცარიელი ადგილი დარჩენილიყო და დაჯდა. დაღალვისგან გული ასდი-დასდიოდა, ხელსახოცით ოფლს იწმენდავდა, კარგა ხანს ხმას ვერ იღებდა. აგერა დესიკომ მოხედა ქალებს და ღიმილით ჰკითხა:

—თქვენში მოსამსახურეთ ხომ არავინ დგება?

—ყველანიც ვეძებთ ადგილს, მოისმა პასუხი.

დესიკომ ჩამოათვალიერა ქალები.

—თქვენ როგორი მოსამსახურე გნებავთ: მზარეული, მოახლე, მოსარეცხე, თუ ყმაწვილების მომვლელი? ჰკითხა ბოხი ხმით ერთმა შავ-კაბა შუახნის ქალმა, რომელსაც სახე ჭარხალსავით გასწითლებოდა, ცხვირის ნესტოები ბურნუთით გამუროდა.

—მე მინდა იმისთანა, რომ რაც საჭირო იქნება ყველაფერი გამიკეთოს, სადილი მოამზადოს, სარეცხი დარეცხოს, ოთახები დაალაგოს, უპასუხა დესიკომ.

—ყმაწვილებიცა გყავთ?

—მყავს.

—რავდენი?

—ორი.

—დიდი თუ პატარები?

— უფროსი ხუთი წლისაა, უნცროსი სამისა. ბავშვებს მე თვითონ ვუვლი. მარტო მაშინ თუ დაიჭერს მათზე თვალს, როდესაც რამე საქმისთვის მომიხდება სადმე წასვლა.

—ჯამაგირს რას იძლევით? ჰკითხა კვალათ შავ-კაბა ქალმა და სახეზე დამცინავმა ღიმილმა გადურბინა.

—თუმანს.

—მაგდენი საქმე და თუმანი?.. თავი მოსაკლავი ვისა აქვს!.. ოხერი თუ იქნება ვინმე, თორემ მაგ ფასში ვინ დაგიდგებათ?..

ამის გაგონებაზე სხვა ქალებმა სახე არიდეს დესიკოს და იქით მიბრუნდენ.

—მაგას რათ ამბობ, ჩემო დედა, ყველას თავისი ანგარიში აქვს. ვისთვისაც სასარგებლო არ არის ამ ფასში წამოსვლა, რასაკვირველია, არ წამოვა, მაგრამ ყველა ხომ შენებურათ არა სჯის? თვეში თუმანი არც ისე ცოტაა, რო აგრე სუბუქათ დაიჭირე. ვისაც როგორც უჭირს, ისე ულირს! დაუმატა დესიკომ და გადახედა ქალებს.

დესიკოს არ მოსწონდა შავკაბა ქალი და გადასწყვეტა კიდევაც რომ წამოჰყოლოდა, არ აეყვანა და ახლა სხვებს მიმართა.

არც ერთის აქ მყოფის შეხედულობა დესიკოს გულს არ იკარებდა, რომელნიც უფრო ყმაწვილები იყვნენ, ფერ-უმარილისაგან სახე ულაპლაპებდათ, ტუჩები შეღებოდათ, თავიდან მოსახვევი გადასცუროდათ და შუბლზე გამოჩენილი ხუჭუჭები გადმოწეწოდათ. მათი თვალები ხშირათ იხედებოდენ იმ მხრისკენ, საითაც ახალგაზდა ბიჭები შეგროვილიყვენ და ერთმანეთში ლაზღანდარობდენ. ეტყობოდათ ისინიც ადგილების მძებნელნი იყვნენ და ცუდეობის გამო ლაპარაკით თავს იქცევდენ.

—შენ რაღას აკეთებ აქ?.. მიუბრუნდა დესიკო ახალგაზდა ქალს, რომელიც საშინლად გამხდარიყო, სახეზე სიკვდილის ფერი დასდებოდა.

—ესეც ადგილს ეძებს... მიატანეს აქეთ-იქით ქალებმა.

—ადგილსო? მერე სად შეუძლიან ადგილზე დადგომა, როდესაც ავადმყოფია?

—მე ავათ აღარა ვარ, ქალბატონო, მოვრჩი. ორი დღეც იქნება, რაც საავადმყოფოდგან გამოვეწერე! დაილაპარაკა სუსტის ხმით ქალმა და ვედრებით შეხედა დესიკოს, თითქო სთხოვდა აეყვანა. დესიკოს შეეცოდა და თანაგრძნობით ჰკითხა:

—რითი იყავი ავათ?

—ალბათ გავცივდი. უპასუხა ქალმა.

სხვა ქალებმა კი პირზე ხელი მიიფარეს, თითქო სიცილს იკავებდენ. დესიკო მიხვდა, რომ სნეული ქალი სტყუოდა, იმის თავს სხვა უფრო სახიფათო იყო და თვალი მოაშორა. ეს დარწმუნდა, რომ ამ სკამზე ამისთვის არც ერთი გამოსადეგარი არ იყო და ადგა ზეზე.

—თხუთმეტი მანეთი მიბოძეთ და მე წამოგყვებით, შეეკამა ისევ შავკაბა ქალი.

—არა, არა! საჩქაროთ მიატანა დესიკომ და მოშორდა სკამს.

—შენისთანა გახუნებულ ქალბატონისგან მეტსაც არ უნდა მოელოდეს ადამიანი. მოესმა უკანიდან, მაგრამ დესიკომ ყური არ ათხოვა ამ სიტყვას და სხვა სკამთან მივიდა, მაგრამ სხვა ქალებმაც იცოტავეს დესიკოს ჯამაგირი.

—თუ გნებავთ, მოახლედ წამოვალ, უთხრა ტუჩების კვნეტით ახალგაზდა ქალმა;

—ჯერჯერობით ერთი დედაკაცი მეყოლება და მერე ამ ცოტა ხანში ძიძის შოვნაც დამჭირდება, განაგრძო დესიკომ.

—ძიძაც დაგჭირდებათ? იკითხა მეორე ქალმა, რომელიც აქამდის ხმას არ იღებდა.

—ჰო, დამჭირდება, მიუგო დესიკომ.

—მაშ მე წამოგყვები, ქალბატონო, სთქვა ისევ იმ ქალმა და წელში გაიმართა.

—მე ეხლა ძიძას არ ვეძებ...

—არა, ქალბატონო, წინანდელ პირობაზე გიახლებით.

—შენ მისდევ, ნატო? გაოცებით შეეკითხნენ ქალები და უკმაყოფილოთ შებღვირეს.

—მარტო წასვლა კი არ არის. საქმე პირობის შესრულებაა.

—თუ ვიკისრებ, კიდევაც შევასრულებ, უპასუხა მკვახედ ქალმა და ისევ მიუბრუნდა დესიკოს, რომელსაც გული მოსდიოდა ქალების მეტიჩრობაზე.

—ბავშვი ხომ არ არის, თავისი საქმე თვითონ უფრო არ იცის!.. რაკი თქვენ არ გინდით წამოსვლა, სხვას რაღათ უშლით? მოუთმენლათ ჰკითხა დესიკომ.

—ჩვენ რა... ჩვენ რა გვენაღვლება! წაიბურტყუნეს დედაკაცებმა.

—მაშ ყველაფერი შეგიძლიან გამიკეთო თვეში თუმნათ? ჰკითხა ნატოს დესიკომ.

—ყველაფერი.

—ბილეთი ხო გაქვს?

—მაქვს.

—მაშ წავიდეთ.

—აი გიახლებით, უპასუხა მორჩილათ ნატომ, წამოდგა, შალი გაისწორა და გამოჰყვა.

(შემდეგი იქნება).

ანასტასია ერისთავ-ხოშტარია.

ავსტრიის მომხმარებელ საზოგადოებათა კონგრესზე.

წერილი ვენიდან.

ამ დღეებში ქ. ვენაში მთელი ავსტრიის მომხმარებელ საზოგადოებათა კავშირმა მოახდინა მეექვსე სიეზდი. 134 საზოგადოებისაგან იყვნენ გამოგზავნილი დელეგატები. სხდომას დაესწრენ აგრეთვე სტუმართა საგრძნობელი რიცხვი; იყვნენ გერმანიის და ინგლისის მომხმარებელ საზოგადოებათა წარმომადგენლები, მხურვალე მონაწილეობას იღებდენ თვით ავსტრიის ს.-დემოკრატიულ პარტიის და პროფესიონალურ კავშირთა წარმომადგენლებიც. კრება გახსნილ იქნა ადგილობრივ ს.-დ. ცენტრალურ კომიტეტის წევრთა, ამხ. ემმერლინგის და ნევოლის თავმჯდომარეობით.

უმთავრესი გადასაწყვეტი საკითხი იყო ის, თუ როგორ საშუალებებით უნდა ებრძოლოს კონსუმ-ფერაინებმა*) წვრილ მრეწველ-ვაჭართა შეუწყნარებელ თავხედობას და თავ-გასულობას. როგორც დელეგატები კრებას აუწყებენ, ამ ბოლო ხანში წვრილ-ვაჭართა გაშმაგებული გამოლაშქრება კონსუმ-ფერაინების წინააღმდეგ სახუმარო საქმედ ვერ ჩაითვლება და ჩვენგან ითხოვს შესაფერ ზომების მიღებასო. მართლაც, თუ წინათ კანონი შესახებ კავშირის დაარსების და მოქმედების ასე თუ ისე დაუბრკოლებლივ ცხოვრებაში ტარდებოდა,—ეს კანონი ავსტრიაში 1873 წლიდან არსებობს,—დღეს ის შეზღუდულია, დღეს მისი განხორციელება საშინლათ ფერხდება და ძველდება. აშკარა და უმთავრესი დევნა ამ კანონისა სასამართლოების მხრიდან სწარმოებს, თუმცა, როგორც ქვემოთ გავიგებთ, სახელმწიფოს სათავეში მდგომი მთავრობაც მის შელახვას ხელს არ აკლებს. ახლათ დაარსებულ ფერაინის დამტკიცების დროს სასამართლოები ყოველგვარ ხრიკებით და ძალ-მომრეობით სარგებლობენ, რომ მით, ვითომდა არსებულ კანონის ძალით, შეუძლებელათ ჰყონ ფერაინის ცხოვრებაში გატარება და მოქმედება. ამ აზრის დასამტკიცებლათ ერთი რეფერენტი კრებას ამცნობს მთელი რიგ ფაქტებს, სადაც ნათლათ გამოკრთის სასამართლოების უსამართლობა. მაგ. ერთ ალაგას ერთმა ფერაინმა სახელათ დაირქვა „არა დახურულ (nicht qeschlosstene) წევრთა რიცხვის ფერაინი". როდესაც ამ ფერაინის კანონიერათ აღიარებაზე მიდგა საქმე, სავაჭრო სასამართლომ ის არ დაამტკიცა იმ მოსაზრებით, რომ დასახელებული ფერაინი მუშების ფერაინია, და არა „რაღაც"—„არა დახურულ წევრთა რიცხვის ფერაინიო". მეორე შემთხვევა ეხება ფერაინის სტატუტის ერთ მუხლს. ამ მუხლის ძალით წევრი ირიცხება ფერაინიდან, თუ კი მას სამი თვის განმავლობაში ფერაინის საქონელთა საწყობისაგან არაფერი გაუტანია, ესეც სასამართლოსაგან უკანონოთ იქნა აღიარებული იმ ხრიკით, რომ თუ ერთი არ იყიდის, სხვა წევრები ხომ მაინც ხარჯეავნო და რათ დაგჭირდათ ამ გვარი უკანონობის გაბატონებაო. კიდევ შეიძლებოდა აუარებელი მაგალითების მოყვანა, მაგრამ ვშიშობ ეს ძლიერ შორს წაგვიყვანს და საქმის გასაცნობათ წარმოდგენილი მასალაც საკმარისია. რაც შეეხება თვით მაღალ მთავრობის მოქმედებას, არც ის იხევს უკან და ყოველ ღონეს ხმაროს არსებულ კავშირთა შედგენის შესახებ კანონს როგორმე ფრთა შეაკვეცოს და შეზღუდოს. მთავრობა კიდეც ალაპარაკდა კავშირის კანონის შეცვლის საჭიროებაზე. მან უკვე დანიშნა განსაკუთრებული წინასწარი კომისია, რომელსაც დაავალა რაიმე პროექტის შემუშავება შესახებ კავშირის კანონის შეცვლისა ანუ შესწორებისა. თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რაც ამ კომისიის მუშაობაზე ისმის, მაშინ დაბეჯითებით შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ კანონის შეცვლა-შესწორება წვრილ-ვაჭართა სასარგებლოთ იქნება მოხდენილი. ძნელი გასაგები არ არის თუ რით აიხსნება ამ გვარი განზრახვა მთავრობისა და სასამართლოებისა.

დღეს ავსტრიაში სახელმწიფოს მართვა-გამგეობის საქმე სავსებით კლერიკალურ პარტიის ხელშია; მისი ბატონობა აქ დღეს განუსაზღვრელია; მთავრობაც იძულებულია მის მოთხოვნას ყური ათხოვოს და წარბ-შეუხრელათ ყოველ მის გულის წადილს, მის სურვილს ანგარიში გაუწიოს. თავის მხრივ კლერიკალური პარტია განსაკუთრებულ საჭიროებას ხედავს თავის ბატონობის შესანარჩუნებლათ და უფრო გასაძლიერებლათ წვრილ-

*) ალაგ-ალაგ ვხმარობ სიტყვას „კონსუმ-ფერაინებს"—მომხმარებელ საზოგადოებათა მაგივრათ.

მრეწველ-ვაჭარ მასასთან მტკიცე კავშირი შეჰკრას და ნიშნათ მის კეთილ-მსურველობისა კონსუმ-ფერაინების წინააღმდეგ ბრძოლა გააჩაღოს. ეჰვს გარეშეა, დღეს წვრილ-ვაჭართათვის თვალსაჩინოთ და აშკარათ ხდება ის გარემოება, რომ რაც უფრო იზრდებიან და ვითარდებიან კონსუმ-ფერაინები, მით უფრო ეცლებათ მათ ფეხ-ქვეშ ნიადაგი, მით უფრო საეჭვოთ ხდება მათთვის წვრილ-წარმოების შემწეობით სასურველ მომავლის განხორციელება, ისინი, როგორც წვრილი მესაკუთრენი ბუნებრივათ იძულებულნი ხდებიან, ან თავი გაანებოს თავის საქმეს და ან კიდევ შეეცადოს ბრძოლით ძველი დროის დაბრუნება, როდესაც კონსუმ-ფერაინების ქიშპობა არ არსებობდა. ისინი თავის ვაჭრულ პსიხოლოგიას ვერ ღალატობენ და არჩევენ მეორე გზას,—ბრძოლას ახლათ მოვლენილ მტერთა წინააღმდეგ.

კონსუმ-ფერაინების წარმოშობა-განვითარება, როგორც განმანადგურებელი მომენტი წვრილ-ვაჭრების ცხოვრებაში, ბუნებრივი და სულ ადვილათ გასაგებია. მეტსაც ვიტყვით — ის აუცილებელია, რადგან ერთი მეორის უარ-მყოფ ძალებს წარმოადგენენ. კონსუმ-ფერაინის მიზანია, რაც შეიძლება კარგი და ღირსებიანი საქონელი შეიძინოს და რაც შეიძლება ნაკლებ, ხელსაყრელ ფასებში დაუთმოს მყიდველს; მიზანი წვრილ ვაჭრისა კი ამ გვარი ვერ იქნება, რადგან ის თავის ინტერესთა წინააღმდეგ ვერ წავა. ცუდი, ნაკლები ღირსების საქონლის შეძენა მწარმოებლისაგან, და მეტი მოგება, მეტ ფასებში გაყიდვა,—აი წვრილ-ვაჭრის გულის თქმა, აი მისი სათაყვანებელი პრინციპი. აქედან აუცილებელი შედეგია, რომ მყიდველი წვრილ-ვაჭართა საქონლით არ სარგებლობს და ფერაინების საქონელთა საწყობში მიეშურება. მყიდველთა რიცხვის შემოკლება სავსებით გვიხსნის წვრილ-ვაჭრის სასოწარკვეთილებას, მის ტირილს და ღრიალს, მის გაშმაგებას: „არიქა! გვიშველეთ, ვიღუპებით, მტერი თავიდან მოგვაშორეთ“ო.

მუშათა კლასისათვის მომხმარებელ საზოგადოებათა მნიშვნელობას—რაც ევროპაში წინათ აბსურდათ იყო მიღებული—დღეს ვერავინ ყოფს უარს. კარლ კაუცკი ერთ ალაგას შემდეგ აზრს იცავს: „მომხმარებელ საზოგადოებათა დაარსება სავსებით ეთანხმება ჩვენი პროგრამის პრინციპებს, ის კი არა, ხანდისხან ჩვენი პროგრამა პირდაპირ გვიკარნახებს მის დაარსებასო“.

მეორე ალაგას ის სწერს: „თუ სხვები პირდაპირ სასაცილო ილლიუზიებით და იმედებით იმსჭვალებიან მომხმარებელ საზოგადოებათა მნიშვნელობის შესახებ, ეს ჩვენ მაინც არ გვიშლის ვაღიაროთ, რომ მომხმარებელ საზოგადოებებს **შეუძლიათ დიადი როლი** ითამაშონ მუშათა განმათავისუფლებელ ბრძოლაში, მაგრამ, დასძენს კაუცკი, არა იმგვარი, როგორც პოლიტიკურ და პროფესიონალურ ორგანიზაციებსო“. (იხ. „მომხმარებელი ამხანაგობები“ კ. კაუცკისა). ეჰვს გარეშეა, გადაჭარბებულიც არ უნდა იქნას მომხმარებელ საზოგადოებათა მნიშვნელობა მუშათა კლასის საქმისათვის, როგორც ეს ბევრ ჩვენ მოწინააღმდეგეებს წარმოუდგენიათ. ყალბია მათი შეხედულება, ვითომ მომხმარებელ საზოგადოებებს და საერთოდ კოოპერატიულ-მოძრაობას საბოლოოთ სოციალურ კითხვას გადაჭრა შეეძლოს, ვითომ კოოპერატივების საშუალებით შესაძლებელი იყოს მუშათა კლასის მიერ სოციალიზმის განხორციელება. ეს შეცდარი აზრია უეჭველათ, მაგრამ არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ თვით განსაზღვრული მნიშვნელობა მომხმარებელ საზოგადოებების მუშათა კლასისთვის, როგორც ერთ-ერთ საშუალებათაგანის მის ეკონომიურ და კულტურულ მდგომარეობის ასამაღლებლათ, თვით ამ გვარი მნიშვნელობა ყოველგან და ყოველთვის გადაჭრილათ მისაღები ვერ იქნება.

(შემდეგი იქნება).

მ. მგალობლიშვილი.

ჟურნალ-გაზეთებიდან.

ნაციონალური პატივი. ამ ჟამათ ბელგიის პოლიტიკურ ცხოვრებაში დიდ საკითხათ გადაქცეულა კონგოს (აფრიკაშია) შემოერთების საქმე. ამის შესახებ იქაურ გაზ. „Petit Blen“-ში ცნობილმა იურისტმა და სენატორმა ედმონდ პიკარმა—მიმართულებით სოციალისტია—ამას წინათ მოათავსა ერთი წერილი, სადაც იგი იმ აზრს გამოსთქვამს, რომ ბელგია, თუ არ მიისაკუთრებდა აფრიკის ხსენებულ კუთხეს, იგი არა მარტო ნივთიერათ ჩამოქვეითდებოდა, არამედ აგრეთვე ზნეობრივათაც დამცირდებოდაო. ბ-ნი პიკარი, სხვათაშორის, სწერს:

„ხალხები, როგორც ინდივიდები, უმეტესათ სულდგმულობენ თავიანთ ღირსება—პატივით. ამ ზნეობრივ მარბალიტს (განძეულობას) მათზე და სხვებზედაც საუცხოვო და ჯადოსნური ზეგავლენა აქვს. არ შეიძლება შენ თავსა გრძნობდე შელახულათ ან სხვას ეჩვენებოდე დამცირებულათ. ყოველივე ზნეობრივ დამცირებას კერძო თუ საზოგადოებრივ ცხოვრებაში შედეგათ მოსდევს პირადი ენერგიის დაქვეითება და სოციალურ და ინტერნაციონალურ ურთიერთობათა დასუსტება... „გარდაუვალი ძალა, რომლის სათავე კარგათ არ არის გამორკვეული, ევროპა—ამერიკულ რასის ხალხებს ეწევა კოლონიზაციისაკენ. ამ ხალხთა ბედ-იღბალი თითქოს განგებისაგან აღბეჭდილია საიდუმლო მიზნით, რომელსაც ვერავინ დაემალება ისე, რომ არ ჩავარდეს დიდ განსაცდელში. ყველაზე უფრო საუკეთესო ქცევა ის არის, რომ ადამიანი და ნაციები სავსებით მიენდონ ამ დიად ისტორიულ მიმდინარეობათ, რომლის ბედნიერი შედეგი—ზომ-ჯერ უხილავათ დაფარული თანამედროვეთათვის—გამოგბრწყინდება მხოლოთ მომავალში...

ასეთ მოსაზრებებით პატივცემული ავტორი ბელგიის ხალხს ურჩევს კონგოს დაპატრონებას. იგი ერთობ მოქარგული ენითა სწერს, მაგრამ ამაოთ. ჩვენც დიდათ ვაფასებთ ნაციონალურ ღირსება—პატივის შეგნებას, ვაფასებთ ნაციონალურ თავმოყვარეობას, მარა მაინც უნდა შევნიშნოთ, რომ მხოლოთ ნაციონალურ

გრძნობებზე მინაბრებულ ადამიანმა—თუნდაც იგი სუბიექტიურათ სოციალისტიც იყოს—ძალიან ადვილათ შეიძლება შეტოპოს, და უნუგეშოთ შეტოპოს, ნაციონალიზმის მორევში. ამას მჭერ-მეტყველურათ მოწმობს ზემოთ მოყვანილი სტრიქონები.

* * *

რუსეთის ეკლესია-მონასტრებში. კიევში გამართულ მისსიონერთა სიეზდის გამო, სადაც თათბირია „ქრისტიანულ სათნოების მქადაგებელთა“ დიად ზნეობრივ დანიშნულებაზე, სხვათა შორის, გაზ. „Спб. Вѣд.“ სწერს:

„ჩვენ გვეფიქრება, რომ მისიონერობაზე ლაპარაკი ჩვენი მონასტრებისათვის ჯერ კიდევ ადრეა: უწინარეს ყოვლისა ჩვენი მონასტრები წმ. ეკლესიიდან არავის არ უნდა აფრთხობდენ და არ უნდა აცდუნებდენ თავიანთ საზიზღარ შინაური წყობილებით და არა ნაკლებ საზიზღარ გარეგნობით.

სათქმელათაც სამარცხვინოა: ლოთობა ბერებისათვის აღარ ითვლება მზაკვრობათ. ზომიერი გარყვნილება,—„მხოლოთ უსკანდალოთ“,—ითვლება აგრეთვე ბერების უბიწო გართობათ... სიმართლითა და სიმტყუნით კაპიტალების შეგროვებაც სრულიად არ ითვლება თვით მონოზნობის აზრის უარყოფათ. ერთის სიტყვით თანამედროვე ბერი,—ეს მხოლოთ უცოლო კაცია, რომელიც არაფერს არ იკლებს, ქეიფი-დროს-ტარება და თვით ვენერიულ ავათმყოფობათა რჩენა მისთვის ჩვეულებრივი რამეა.

იგივე გაზეთი და თვით ისეთი ორგანოც, როგორიცაა „Моск. Вѣд.“, იმავე ბნელი ფერადებით აღწერენ აგრეთვე რუსეთის სამღვდელოების ზნეობრივ გათახსირებას, და ბოლოს დაასკვნიან, რომ ბოროტების ძირი არქიეპისკოპოსებში უნდა ვეძიოთო. ნამდვილათ კი, საქმეში ჩახედულმა იცის, რომ ასეთი ძირი დაფარულია თვით საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ვითარებაში.

* * *

რა არის თანამედროვე რუსეთი? გაზ. „Руск. Вѣд-“-ში ბ-ნი ა. კიზევეტტერი სწერს:

„თუ შეგეკითხონ: რა არის თანამედროვე რუსეთი?—უპასუხეთ: ეს არის ქვეყანა, სადაც მინისტრი ღმერთს მადლობას სწირავს და იმედი აქვს ახალი სესხის აღებისა; გუბერნატორი თავს უხერხულათ გრძნობს იმ დამღუპველ „საგმირო“ საქმეებით, რასაც ახდენენ მის მიერვე ნაქებ-ნადიდები დამცველები, ხოლო კაცთ-მოყვარე ფილოსოფოსი კი *), განსჭვრეტს რა გარშემორტყმულ ვითარებას, მტანჯველ მწუხარებით ნატრობს თავის თავისთვის სალრჩობელას“. მახლას!

საზღვარ-გარეთ.

მოხუცებულ მუშათა პენსია ინგლისში. ბილი (კანონ-პროექტი) მოხუც მუშათათვის სახელმწიფოს მიერ პენსიის დანიშვნის შესახებ მესამეთ წაკითხვის შემდეგაც გავიდა ქვედა პალატაში. ჩვენი დროის ერთი უმთავრესი რეფორმათაგანი, რომელიც გვამცნობს საზოგადოების ახალ დამოკიდებულებას თითეულ მოქალაქის პიროვნებასთან უნდა განხორციელდეს ამ ახლო მომავალში. კანონ-პროექტის გარჩევის დროს ფინანსთა მინისტრმა წამოაყენა ასეთი თეზისი: „თითეულს, ვინც თავის შრომით დახმარებია დირებულების შექმნას, უკვე აქვს უფლება მიიღოს ჯილდო სახელმწიფოსაგან, როდესაც მას მოხუცებულობა წაართმევს ღონეს“. კანონ-პროექტის გარჩევის დროს ოპოზიციას ჰქონდა ნამდვილი პარტიზანული ხასიათი. კონსერვატორებმა ვერ მოახერხეს პრინციპიალურათ ბილის წინააღმდეგ წასვლა, ამისთვის იმათ გადასწყვიტეს, რომ კერძო კომონერებს (დეპუტატებს) მიეტანათ იერიში. კომონერთა ერთი მუჭა ჯგუფიდან გამოვიდა გენრი-კრეიკი, რომელიც თხოულობდა კანონ-პროექტის რიგიდან მოხსნას. ის ასაბუთებდა თავის მოთხოვნას იმით, რომ ეს ბილი ეწინააღმდეგებოდა პარლამენტის მთელ წარსულ მოღვაწეობას დატაკთა მდგომარეობის გაუმჯობესების საქმეში. აქამდის ამგვარი მოქმედება ეთანხმებოდა პრინციპებს, რომელზედაც აშენებულია 1834 წ. კანონი დარიბების შესახებო. მართალია, ამის შემდეგ პირობები შეიცვალა, მაგრამ მთავრობამ ამისთვის დანიშნა კომისია, რომელმაც უნდა გამოიკვლიოს, თუ როგორ სწარმოებს კანონი დატაკთა შესახებ. „ეხლა კი—გულის წყრომით ამბობს სერ გენრი კრეიკი—მთავრობამ არ დაუცადა ამ კომისიას და შემოაქვს სრულიათ ახალი კანონ-პროექტი დატაკ მოხუცების შესახებ. მთავრობა ბაძავს ახალ ზელანდიას, რომელიც დიდი ბრიტანიის ოდენაა სივრცით, მაგრამ მისი მცხოვრებთა რიცხვი არ აღემატება ინგლისის პროვინციალური ქალაქის მცხოვრებლებისას. რისთვის ძველმა ინგლისმა თავის მრავალსაუკუნებიანი კულტურით უნდა მიბაძოს ახალ ქვეყანას, რომელიც აღორძინდა ჩვენი თვალის წინ? რისთვისაა მეტროპოლი ვალდებული, რომ მიბაძოს კოლონიას, რომელმაც არ იცის რთული სოციალური კითხვები?“ სერ ჰენრი-რეიკის აზრით რეფორმას მოჰყვება დამღუპველი შედეგები. ჯილდო შეამცირებს გასასყიდელ ძალას იმ მოხუცებულთა, რომელთაც შეაგროვეს თავის მცირე-რამ რენტა. ჯილდოს მიღების დროს მოხუცებულები იძულებული იქმნებიან მოისმინონ დამამცირებელი კითხვები. სერ ჰენრი პროტესტს აცხადებდა ბილის მესამეთ წაკითხვის წინააღმდეგ, რადგან ის არის წინამორბედი აუარებელ სოციალისტურ ზომებისა. თუ ეს ბილი გავა, პარტიები დაუწყებენ ერთი-მეორეს მეტოქეობას სხვადასხვა ხრიკებში ამრჩევლების მისამხრობათ. სერ ჰრეის რეზოლიუციას ბილის რიგიდან მოხსნის შესახებ მარტო ათმა კაცმა მისცა ხმა. ოპოზიციის ბელადები ან გავიდენ პალატიდან ან სამინისტროს ბილს მისცეს ხმა. მეორე რიგის წინააღმდეგობა იყო ასეთი. კრიტიკოსები არაფერს არ ამბობდენ პრინციპიალურათ ბილის წინააღმდეგ. მაგრამ როგორც **„მეგობრები ხალხისა“, კონსერვატორები** ბევრს ლაპარაკობდენ სალხის ტანჯვის შესახებ. კრიტიკოსები აღნიშნავდენ იმას, რომ თუ მომავალში დარჩებოდა ისეთი წესი ხარჯ-გაწერისა, რომელიც ეხლა არსებობს, არ იკმარებს ფული მოხუცთა ჯილდოსათვის. ეს რეფორმა აიძულებს ქვეყანას, რომ შეამციროს ხარჯი ფლოტზე. უფრო გა-

*) იგულისხმე ლევ ტოლსტოის უკანასკნელი წერილი—სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ—„არ შემიძლიან გავჩუმდე“.

ბედულები ამტკიცებდენ, რომ საჭიროა ვაიძულოთ „უცხოელი გადაიხადოს“. შემდეგ აღნიშნავდენ ისეთ არგუმენტებს, რომელიც კონტინენტის (ხმელეთის) მცხოვრებთათვის სრულიად გაუგებარია. ინგლისში არაა საჭირო არავითარი დოკუმენტი. მილიონობით იბადება ხალხი, სწავლობს, ქორწინდება, ვაჭრობს, მოგზაურობს, მაგრამ არაოდეს არ გრძნობს დოკუმენტების საჭიროებას. ინგლისელები ძვირათ აფასებენ ამ პირად თავისუფლებას და მაღლიდან დაჰყურებენ არა თუ რუსებს, რომელთაც უპასპორტოთ არ შეუძლიათ ბინის გამოცვლა, არამედ ნემცებსა და ფრანგებსაც. კონსერვატორების ბელადი არწმუნებს კომონერებს, რომ ამ ბილის გასვლით შეექვეცება ბრიტანიის თავისუფლებას ფრთებიო. მართლა— ამბობს ბალფური—ბევერი, რომელიც მიმართავს საპენსიო კასას, იძულებულია დაამტკიცოს, რომ ის სამოც და ათი წლისაა. როგორ უნდა დაამტკიცოს? საჭიროა მეტრიკული მოწმობა, ვისა აქვს ეს? თქმა არ უნდა, რომ ეს არგუმენტი არა ერთხელ ორხელ განმეორდება კონსერვატორების მიტინგებზე. ლიბერალურ სამინისტროს დასდებენ ბრალს იმაში, რომ მან მცხოვრებთა ერთი ნაწილი ჩააყენა ისეთ გარემოებაში, რომ ის იძულებულია დოკუმენტებით დაამტკიცოს თავის ხნოვანება. მუშათა დეპუტატებიც აკრიტიკებდენ ბილს და თხოულობდენ 65 წ. 70 წლის მაგიერათ. მიუხედავათ ამისა ბილი ერთხმათ იქნა მიღებული. მთავრობამ მიიღო რამდენიმე არსებითი შესწორება ბილისა, რომელიც უჩვენეს მუშათა დეპუტატებმა. აგრე, ეხლა ჯილდოს სიდიდე დამოკიდებულია მოხუცთა შემოსავალზე (slielinq scale). ბევრი მოხუცი უკვე იღებს ზომებს, რომ ისარგებლოს, ახალი კანონით. (თუ ლორდთა პალატამ არ უარჰყო 1 იანვრიდან 1909 წ. შევა ძალაში). როგორც ვიცით, ჯილდოს სახელმწიფოსაგან მიიღებს ის მოხუცი, რომელიც არ ღებულობს თოთხმეტს შილინგზე მეტს კვირაში. ის მოხუცი, რომელიც მიმართავდა ჯილდოს ვალდებული იყო დაემტკიცებია თავის შრომის მოყვარეობა, რაც იწვევდა ბიუროკრატიის ჩარევას კერძო ცხოვრებაში და რაც ინგლისელს ძალზე სამარცხვინოთ მიაჩნია, ეხლა მუშათა დეპუტატების შესწორების შემდეგ ეს ნაკლიც აშორებულ იქმნა. იმ მოხუცს, რომელიც მიმართავს სახელმწიფო ჯილდოს, საკმარისია იმის საბუთი, რომ ის 10 წელიწადია წევრია ტრედიუნიონისა ან მეგობართა საზოგადოების—ეს კი საკმარისი საბუთია შრომის მოყვარეობის დასამტკიცებლათ. უწინარეს ყოვლისა კანონ-პროექტის ნაკლათ უნდა ჩაითვალოს ის, რომ პენსიის მიღების უფლება ეძლევა მხოლოთ სამოცდაათი წლის მოხუცებულს. დღევანდელ ფაბრიკის პირობებში სამოცი წლის მოხუცებს აღარ შეუძლიათ იპოვონ სამუშაო. მაგრამ ფაბრიკის მუშები ჩვეულებრივათ ეკუთვნიან რომელიმე ტრედიუნიონს, საიდანაც ღებულობს მცირე რამ დახმარებას. მაგრამ შავ მუშებს არ შეუძლიათ გადაიხადონ საწევრო ფული და ამისთვის რჩებიან გარეთ. სამოცდახუთი წლის შავი მუშა უკვე დაუძლურებულია. პრემიერმა და ფინანსთა. მინისტრმა მიიღეს, რომ საჭირო იყო პენსიის შემოღება 65 წლიდან, მაგრამ ამისთვის საჭირო იქნებოდა 130,000,000 მან. წელიწადში და 70 წლიდან კი საჭიროა 70,000,000 მ.; აი ამისთვის საპენსიო წლოვანობის ვადის შემცირება უნდა გადაიდოს. მეორე ნაკლი ბილისა ისაა, რომ ის ღატაკები, რომელნიც ღებულობენ საზოგადო დახმარებას, არ შედიან შიგ. ფინანსთა მინისტრმა სთქვა, რომ მომავალ 1909 წელს შემოიტანს კანონპროექტს ღატაკთა შესახებ არსებულ კანონთა შესაცვლელათ.

თქმა არ უნდა, ეს კანონ-პროექტი ანიჭებს მოქალაქეს ახალ უფლებას. აი სწორეთ ამაში მდგომარეობს უწინარეს ყოვლისა მისი სიდიადე.

დიონეო.

ყოველკვირეული საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო გაზეთი

ჩვენი კვალი

გაზეთის ფასი:

თბილისსა და თბილის გარეთ	7 მ.	—	კ.
ნახევარ წლით — —	3 მ.	—	კ.
სამი თვით — —	1 მ.	60	კ.
საზღვარ გარეთ ერთი წლით	7 მ.	—	კ.
ნახევარ წლით — —	4 მ-	—	კ.
სამი თვით — —	2 მ.	—	კ.

ცალკე ნომერი ყოველგან ორი შაური.

ხელის მოწერა შეიძლება: თბილისში, წიგნის მაღაზია „სორაპანი“ მადათოვის კუნძული. ფოსტით ფული და წერილები უნდა გამოიგზავნოს ამ ადრესით:

Тифлисъ книжный магазинъ „Сорапань“ (Мадат. островъ) Рахиль Каландадзе.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია ცოდხანს არ ინახავს, ინახება ერთი თვით მხოლოდ მოთხრობები და დიდი წერილები.

მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე კვირა-უქმეებს გარდა დილის 11-დან ნაშუადღევის 2 საათამდე.

რედაქცია იმყოფება ვანქის ქუჩაზე № 12, ზემო სართულში

რედაქტორ-გამომცემელი **ანთ. გიორგობიანი.**

ელექტრო-მბეჭდავი ამხ. „**სორაპანი**“, მადათოვის კუნძული, სახლი მუხრანსკისა № 1.